

619  
1960

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



დროშა  
№ 2 თებერვალი 1960





ქართული  
კომუნისტური  
პარტია



25—26 იანვარს თბილისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ვ. პ. მუავანაძემ და ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აისახა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების წარმატებანი მრეწველობისა, სოფლის მეურნეობის და კულტურის დარგებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობამ დასახა კონკრეტული ამოცანები შეიღწელების განხორციელებისა და რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო-კულტურული აღმავლობისათვის.

ყრილობის მიერ არჩეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.


საქ. კომუნისტური პარტიის ც. კ.-ს პირველ მდივანად არჩეულია ანხ. ვ. პ. მუავანაძე; მეორე მდივანად—ანხ. პ. ვ. კოვანოვი. ც. კ.-ს მდივანებად—ანხანაგები: გ. ი. ქადაგიძე, ი. ხ. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე.

პლენუმმა აირჩია საქ. კ. პ. ც. კ.-ს ბიურო ანხანაგების კ. ნ. გალიცკის, ი. ხ. დოლიძის, ფ. დ. დუმბაძის, ა. ნ. ინაურის, პ. ვ. კოვანოვის, მ. ი. კუჭავას, მ. მ. ლელაშვილის, ვ. პ. მუავანაძის, გ. ი. ქადაგიძის, გ. ხ. ძაწენიძის, გ. დ. ჯავახიშვილის შემადგენლობით. ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ანხანაგები: გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. ლაველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, გ. ი. ჩოგოვაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ანხ. თ. რ. აბაშმაძე.







16

კომუნისტური პარტიის დეკემბრის პლენუმზე მონაწილეობა და ამიტომ დააჯილდოვეს ამ პლენუმის წარდგენილ ლენინის ორდენით. თორმეტი წელიწადია, რაც სოფიო დელიბაშვილი მემინდვრეობის ბრიგადიდან მესაქონლეობის ბრიგადაში გადმოვიდა. მაშინ ბევრი სიტყვა დახარჯა მემინდვრეთა ბრიგადირმა კოლა კურატიშვილმა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაჯერა, სოფიოს გული აქეთ მოუწევდა და გადმოვიდა კიდევაც მესაქონლეობის ბრიგადაში. პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა, იმ წელს დიდი უბედურება შეემთხვა, ქმარი გარდაეცვალა და სამი პატარა ბავშვი დარჩა ხელზე ახალგაზრდა ქალს. მაგრამ არ შეშინე-

# ნაწილად ნაზრად ნაწილად

სერის უბანი ზევიდან გადმოსცქერის ნორი-ხევის გაყოლებით გაჭიმულ სოფელს. აქედან ჩანს სამგორის ველი, მერე, მტკვრის გადაღმა — იალღუჯა და, კიდევ უფრო შორს — დანისლული მთები.

იალნოს ქედიდან უკვე გრილი ნიავი დაძრულა. მარტყოფის იქით, იორს გადაღმიდან, სადაც არის მზე ამოიწვერება.

სერის უბნის თავში პატარა სახლიდან ფრთხილად გამოდის თავშალწაკრული ქალი, ფრთხილად, რომ ბავშვები არ გააღვიძოს და მსუბუქი, ხალისიანი ნაბიჯით დაეშვება თავქვე სოფლის ბოლოსკენ. გზაში იშვიათად დაემგზავრება ვინმე. აბა ვინ უნდა დაასწროს სოფიო დელიბაშვილს ფერმაში მისვლა! სანამ ფერმაში ჩავიდოდეს, ათასი ფიქრი გაუგლვებს თავში, მაგრამ შეაღებს ბოსლის კარებს და ყველაფე-

რი ავიწყდება: აქ თბილა, ოღონაე ბუტუავენ ელნათურები, დღის სინათლე ჯერ არ შემოჭრილა ფანჯრებში. მაგრამ სოფიოს დიდი დრო არ უნდა, რომ ყველაფერი შეამჩნიოს. აი „მისი“ ძროხებიც — თორმეტი, მაგრამ ყველას ზნესა და ხასიათს სცნობს. ზოგს სულ ერთი თუ ორი წელიწადია, რაც უვლის; ზოგი კი — აი თუნდაც ველის წითელი ჯიშის დიდი ძროხა უკვე ათი წელია, რაც სოფიოსთანაა. იგი 1956 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო... ანდა „პატარა“ ახლახან გადმოსცეს სოფიოს, მაგრამ უკვე წველადობით ლამის სხვებს აჯობოს. სოფიო მიჰყვება ძროხების რიგს, ხელს მოუსვამს, დაუყვავებს. „ნათელა“ დღეს რაღაც მოწყენილად, ილია რომ ჩამოვიღის,

უნდა ვაჩვენო, „დოლა“ მოუსვენრად ბორგავს... „ბალარა“ სოფიოს დანახვაზე ზმუილს დაიწყებს, „მაია“ მოუთმენლად თავს აკანტურებს. სოფიო ხალათს გადაიცვამს. წველისათვის ემზადება და იწყება დაძაბული შრომის დღე. დღე, რომლის განმავლობაში სამჯერ უნდა მოწველოს თორმეტივე ძროხა, საკვები არ მოაჯლოს, დაარწყულოს... და, კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი საქმე და გარჯა აქვს ამ პატარა ქალს. თორმეტი წელიწადი რომ მხარში უდგას გაეკაც მწველავებს და არაფერში ჩამორჩება მათ. ჩამორჩება კი არა, ბევრჯერ გაუსწრია კიდევაც მათთვის. ამიტომ იყო სამჯერ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, ამიტომ დააჯილდოვეს ვერცხლის მცირე მედლით, ამიტომ დაავალეს

ბულა, შრომა და გარჯა გააათქვცა, ფერმაშიც და სახლშიც ჯარასავით დატრიალდა, თუმცა რაღა ფერმა და რაღა სახლი? სად უფრო დიდხანს იყო ან რომელს უფრო მეტი ძაღლონე და მონდომება შეაღია? ბავშვებიც დედის კვალს დაადგნენ. ის პატარა ტყუპი გოგონები — მაყვალა და ნანული, თითქოს გუშინ იყო, რომ დედის კალთას ჩაჭიდებულნი დადიდრდნენ. დღეს კი მეშვიდე კლასის მოწაფეები არიან, ფერმაში მუშაობენ, დედას ეხმარებიან. სოფიომ თანდათან შეაჩვია გოგონები მუშაობას, ჯერ რძის ბიდონებს არეცხვინებდა მარტო. ახლა ამ სამუშაოს მხოლოდ გოგონები ეწვევიან, მერე სხვა სამუშაოსაც შეაჩვია. უფროსი ბიჭი — სევერიანე კი მარტყოფშია, სოფლის მეურ-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!

## დროშა

№ 2 (103) თბილისი, 1960 წ.

გამოცემის IX წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი ჟურნალი

- |                       |                              |                                    |   |
|-----------------------|------------------------------|------------------------------------|---|
| 1. რესპუბლიკის ზიღენი | 3. კავშირის კაბინი-ღან       | 4. თითქოს მაგარიკა-ლი გარდის ხიღუ  | 7. ჩვენი შაღაღნაღი                                  |
| 2. რამთვალათ ნისგარ   | 5. მ. აღიოზიოზიდი — მოღოღინი | 6. ა. რახოვი — ხაღოვ-ნაღის ქხიღაღა | 8. მისი გული ქხაღის იღის თ ჰიღს, რ ო მ ჩვენ ჰიღაღოთ |
|                       |                              |                                    | 9. სიღინათაღა                                       |







ნების მექანიზაციის ტექნიკურში სწავლობს — მეორე კურსზე.

შვიდწლედის პირველი წელი ნორიოელმა კოლმეურნეებმა წარმატებით დაასრულეს. 1959 წლის განმავლობაში ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ შეიძღვრა მეტი რძე მიიღო და სამჯერ მეტი ხორცი, ვიდრე 1953 წელს. კოლმეურნეობა ჩაება იმ დიდ მშვიდობიან შეჯიბრებაში, რომელიც ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაშია გაშლილი.

ბევრი რამ იყო გაკეთებული კოლმეურნეობაში, მაგრამ როდესაც სოფიო დელიბაშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან ჩამოვიდა, აღფრთოვანებული და აღტაცებული ყოველივე იმით, რაც ნახა, რაც განიცადა, რაც მოისმინა და გაიგო, მისთვის ცხადი შეიქნა, რომ ისე მუშაობა, როგორც მანამდე მუშაობდნენ, არ შეიძლება, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მესაქონლეობას. ნორიო ხომ დედაქალაქის სამგორის რაიონს ეკუთვნის და მისი ვალდებულებაა მოამარაგოს თბილისისა და რუსთავის მშრომელები რძითა

და ხორცით, რომ რუსთავის მეფოლადეებმა, თბილისის ჩარხმშენებლებმა, ელექტრომაგალმშენებლებმა, დედაქალაქის ყველა მშრომელმა უხვად მიიღონ ნორიოელი მესაქონლეების ნაწარმი.

დეკემბრის პლენუმის შემდეგ ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ შეჯიბრებაში გამოიწვია საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობა — რუსეთის ფედერაციის ტამბოვის ოლქის მიჩურინის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც სახელმძღვანელო საკოლმეურნეო ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირი ევგენია ანდრეევა ხელმძღვანელობს.

ეს ლენინის ორდენით და-



ჯილდოებული კოლმეურნეობა ინიციატორია მოძრაობისა, რათა უახლოეს წლებში მკვეთრად ავამაღლოთ მესაქონლეობის პროდუქტების წარმოება მიწის ყოველ 100 ჰექტარზე ისე რომ, რაც შეიძლება სწრაფად დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. უკვე 1959 წელს ყოველ ას ჰექტარზე კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში აწარმოეს 171 ცენტნერი ხორცი და 350 ცენტნერი რძე. ნორიოელების მაჩვენებლები გაცილებით მცირე იყო — 60 ცენტნერი ხორცი და 180 ცენტნერი რძე. ნორიოელმა კოლმეურნეებმა იკისრეს 1960 წელს მიწის ყოველ 100 ჰექტარზე მიიღონ 120 ცენტნერი ხორცი, და 350 ცენტნერი რძე, ხოლო 1965 წელს 200 ცენტნერი ხორცი და 750 ცენტნერი რძე, ამასთანავე, დაივალეს მნიშვნელოვნად გააიზაფონ მესაქონლეობის პროდუქტები. დეკემბრის პლენუმი ახალი დასრულებული იყო, როდესაც ტამბოველ კოლმეურნე-

რომ ახლა ჩვენი კოლმეურნეობა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. მე მინდა კიდევ ერთხელ გავიზიაროთ ჩვენი დიდოსიხარული — ტექვერ სომ ჩვენი მეგობრები ხართ — და გისურვოთ ისეთი მიღწევები, რომ მთავრობის ჯილდო დაგემსახურებინოთ.

სკკპ ცკ-ის დეკემბრის პლენუმის შემდეგ სულ რამდენიმე დღე გაიარა, ჩვენი კოლმეურნეობის ცხოვრებაში კი ბევრი ცვლილება მოხდა. მინდა შეგატყობინოთ, რომ მალალი ჯილდოს საპასუხოდ კოლმეურნეებმა გადასინჯეს პირველად აღებული ვალდებულებანი 1960 წლისათვის და გადაწყვიტეს, შეიძლეოდეს მეორე წლის განმავლობაში ყოველ ას ჰექტარზე აწარმოონ 180 ცენტნერი ხორცი და 450 ცენტნერი რძე. ჩვენ ვიკისრეთ შევასრულოთ შეიძლეადიანი გეგმა ვადამდე — 1963 წელს. ამ დროისათვის ჩვენ ვაწარმოებთ 250 ცენტნერ ხორცსა და 700 ცენტნერ რძეს ყოველ ას ჰექტარ მიწაზე“.



ებიდან მოვიდა ასეთი ტელეგრამა:

„ქვირფასო ნორიოელო მეგობრებო!

სოფიო დელიბაშვილმა, რასაკვირველია, უკვე გაამბოთ, ჩვენი შესვედრების გამო მოსკოვში, იმის შესახებ, რომ ჩვენ იქ დავმეგობრდით ისიც იცით,

ევგენია ანდრეევას ხელმოწერილმა ამ დეკემბრის ბევრი ჩაადიქრა ნორიოში, მათ შორის — სოფიოც. — ჰო! ბევრია გასაკეთებელი! მაგრამ მუშაობას ვინ შეშინებია! სოფიო მოცინარი თვალებით უყურებს თავის ბრიგადის წევრებს — მწველავებს შაშო და ავთანდილ მამნიშვილებს, ანტონ და სოლიკო აბრამიშვილებს, არჩილ ჯოგიაშვილსა და მესაქონლე მწყემსს კოლა ცოფურაშვილს, ეგნატე ბაზაროვსა და მესაქონლეთა ბრიგადირს ზაქარია ქარუმიძეს...

— შეგძლებოთ თუ არა? — ეკითხება და თვითონვე უპასუხებს: — რასაკვირველია, შევძლებთ!..





დაწვებული იმ დღიდან, როდესაც 1925 წლის გაზაფხულზე ოკრიბელმა უმაწვილმა გიორგი ძოწენიძემ გაუბედავად შეაღო ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაციის კარები და რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე დაწერილ განცხადებაში ახალგაზრდების კომუნისტურ კავშირში მიღება ითხოვა, მისი ფიქრი და მისწრაფება, მისი შრომა და გარჯა, მისი ცოდნა და უნარი, მთელი მისი სიცოცხლე პარტიას და ხალხს ეკუთვნის.

ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში იგი ყოველთვის იქ იყო, სადაც მას ჯერ კომკავშირი, ხოლო შემდგომში კომუნისტური პარტია და ხალხი გზავნიდა. იგი ყოველთვის მიდიოდა იმ გზით, რომელსაც მას პარტია მიუთითებდა, განუხრებლად და მიზანმიმართულად სულ წინ და წინ მიიწევდა.

ამ გზამ, ღარიბი ოკრიბელი გლეხის ადრე დაობლებული ბიჭი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნათელ აუდიტორიუმში მოიყვანა.

თხუთმეტი წლის უმაწვილს თან ჩამოჰყვა — ქიმიის გაცვეთილი სახელმძღვანელო და უსაზღვრო სიყვარული ამ მეცნიერებისადმი. ცხოვრების მანძილზე კაცს მრავალ კარგ ადამიანებთან უხდებდა ურთიერთობა, ბევრა მათგანის კეთილი სიტყვა და საქმე ეხმარება ცხოვრებაში და ხელს უწყობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა გავლენა ადამიანის მთელ შემდგომ ცხოვრებას დაგეზავს. გიორგი ძოწენიძის ცხოვრებაში ასეთი ადა-

მიანი იყო ქუთაისელი მასწავლებელი იოსებ ნარეშელაშვილი. ამ თავმდაბალსა და უჩინო პედაგოგს ერთი უნარი გააჩნდა — მას უსაზღვროდ უყვარდა საგანი, რომელსაც ასწავლიდა და შეაყვარებდა ხოლმე მას თავის მოწაფეებს.

ამიტომ იყო, რომ უნივერსიტეტის ქიმიურ-ფარმაცევტიული ფაკულტეტის ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტი თანაკურსელთა შორის მკვეთრად გამოირჩეოდა ქიმიის ცოდნით. როდესაც ფაკულტეტი დაიხურა და გიორგი ძოწენიძე სხვა სტუდენტებთან ერთად აგრონომიულ ფაკულტეტზე ჩარიცხეს, იგი გაიტაცა უხვი, უმაგალითო მოსავლისათვის ბრძოლამ, მაგრამ, სულ მალე, მინერალოგიის პრაქტიკულ მეცადინეობებზე იგი გაეცნო და დაეუფლა მინერალთა ანალიზების პრაქტიკულ მეთოდებს, სტუდენტი-აგრონომი გაიტაცა იტყამ, რომ მინერალოგია დედამიწის ქერჭის ქიმიას წარმოადგენს. იგი გადღის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და ამის შემდეგ მთელი მისი ძალღონე უკვე მშობლიური ქვეყნის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის შესწავლისაკენა მიმართული. აქ, უნივერსიტეტში, გიორგი ძოწენიძე შეხვდა მეორე ადამიანს, რომელმაც ასევე დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში, როგორც ადრე ქუთაისელმა ქიმიის მასწავლებელმა.


პროფესორ ალექსანდრე თვალჭრელიძის გამ-

კრიანმა თვალმა შეამჩნია ახალგაზრდა, რომელიც ასე მონდომებით უკორკიტებდა მიკროსკოპს და ვერ შორდებოდა მას, მაშინაც, როდესაც სასწავლო საათები დამთავრებული იყო და დამლაგებლები აუდიტორიების დასუფთავებას იწყებდნენ.

შემდგომში გიორგი ძოწენიძეს მრავალ შესანიშნავ და სახელმწიფეებელ მეცნიერთან მოუხდა შეხვედრა, სწავლა და თანამშრომლობა, მაგრამ ერთი თვისება მას უდავოდ თავისი მასწავლებლისა გამოჰყვა: რა გინდ რთულ თეორიულ საკითხებთანაც არ ჰქონია მას საქმე, რა გინდ წმინდა მეცნიერული პრობლემების გარკვევისათვის არ მოუკიდნია ხელი, ყოველთვის ყველა ამ საკითხში იგი პოულობდა პრაქტიკულ მხარეს, ყოველთვის მის შრომას მოჰყოლია მნიშვნელოვანი შედეგი პრაქტიკული გეოლოგიისათვის, ადამიანებისათვის. უკვე უნივერსიტეტის მეოთხე კურსზე, 1929 წლის ალექსანდრე თვალჭრელიძემ სტუდენტი გიორგი ძოწენიძე ლაბორანტად მიიწვია თავის კათედრაზე და, ამგვარად დაიწყო მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობა — მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მრავალი წარმატება ხვდომია წილად მაგრამ, მხოლოდ ერთი დღე თუ შეეძრება ამ სახსოვარ დღეს — ამ ორ დღეს თითქმის ოცდაათი წლის მანძილი აშორებს. ეს ის დღეა, როდესაც მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის ლაბორანტმა, შემდეგ ასისტენტმა, შემდეგ დოცენტმა,

# რუსკუაჩიკის პრეზიდენტი





და 1930 წლის ზამთარში მას მოუხდა აქარა-თრიალეთის ქედის პირველი გადაკვეთა.

მას ნახევლით ცხენისწყლის ხეობის სათავეში და დუხუშუმის ხროვ კლდეებში, სადაც იგი დარიშხანის საბადოებს იკვლევდა. მას ნახევლით ინგურის სათავეებში, სალდესა და შხარის ყინვარებზე, აქარის წყლის მიუვალ ხეობებში და ხევსურეთის ჭიუხებში, აფხაზეთის უღრან ტყეებში და სამხრეთ ოსეთის მდინარეებზე. იგი ეძებდა და პოულობდა დარიშხანსა და პოლიმეტალებს, ბოქსიტებსა და ანთიმონიუმს. მან გეოლოგ ნ. კანდელაკთან ერთად აღმოაჩინა საქართველოში უდიდესი ჩორდის ბარიტის საბადო. მის მიერ ნაპოვნი და აღწერილი მინერალის საფუძველზე აღმოჩენილი იქნა ქუთაისის ფოსფორიტების საბადო.

თავისი კვლევის ერთ-ერთ ობიექტად გიორგი ძოწენიძემ აირჩია ძლიერ შეცვლილი ვულკანური ქანების მძლავრი წყება, რომელსაც მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს საქართველოს ტერიტორიაზე. „მიკროსკოპმა გიორგი ძოწენიძის მარჯვე ხელში, წერდა ალ. თვალჭრელიძე, გამოავლინა დანალექების ამ წყების წარმოქმნის ისტორია. აღმოჩნდა, რომ გეოლოგიური დროის ნელ მსვლელობაში ამონთხეული ლავების შემადგენლობა იცვლებოდა, ქანები დაყოფილ იქნა ცალკე ჰორიზონტებად. ბარიტის ძარღვები დაკავშირებული აღმოჩნდა ამ ქანების გარკვეულ ჰორიზონტთან და ამან გეოლოგ-მამიებლებს ხელთ მისცა ვახადები ამ ძვირფასი მინერალის საძებრად. გ. ძოწენიძის ეკუთვნის ბარიტის ერთ-ერთი უდიდესი საბადოს აღმოჩენის პატივი. ცოტა ხანში კი სხვა ახალგაზრდა გეოლოგებმა, რომლებიც მის მიერ ნაჩვენები გზით მიდიოდნენ, აღმოაჩინეს კიდევ რამდენიმე სამრეწველო მნიშვნელობის დიდი საბადო“. ამ შრომისათვის გიორგი ძოწენიძეს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. პრაქტიკისა და თეორიის ასეთი ურთიერთი დაკავშირება მეტად დამახასიათებელია გიორგი ძოწენიძისათვის. მრავალი წლის განმავლობაში მეცნიერი სწავლობდა საქართველოს მაგმურ ქანებს, უპირატესად ვულკანოგენურ ფორმებს. ამ მუშაობის დროს მას მეტად საინტერესო და რთული საკითხების გადაჭრა მოუხდა. მაგალითად, ითვლებოდა, რომ შუა იურული ვულკანოგენური წყება იმდენად ერთგვარი შემადგენლობისაა და, ამასთან, იმდენად ქაოტიური წარ-

მონაქმნია, რომ მასში რაიმე კანონზომიერების დადგენა შეუძლებელიაო. გიორგი ძოწენიძემ უჩვენა არა მარტო ამ წყების შედგენილობის მრავალგვარობა, არამედ ნათელი წარმოდგენა მოგვცა სხვადასხვა შესაძლო და შუა იურული ეფუზიური ვულკანიზმის ხასიათზე.

თორმეტი წელი მოანდომა გიორგი ძოწენიძემ საქართველოს ვულკანოგენური ფორმაციების შედარებით შესწავლას და დაავიკრიფინა ეს მუშაობა ვრცელი მონოგრაფიით: „მოიცვამდელი ეფუზიური ვულკანიზმი საქართველოში“. ამ მეტად მნიშვნელოვანმა მონოგრაფიამ დიდი გამოხმაურება ბოვსა საბჭოთა კავშირის გეოლოგთა შორის. აკადემიკოსი ალ. ჯანელიძე წერდა: „გ. ძოწენიძემ ახალი გზა გაუხსნა კვლევა-ძიებით აზრსა და ამაშია მისი უდავო დამსახურება“. აკადემიკოსი ა. ზავარიცვი ამბობდა: „ავტორმა დიდძალი ფაქტიური მასალის განხილვის საფუძველზე გააკეთა დასკვნები, რომლებსაც ჩემი აზრით დიდი მნიშვნელობა აქვთ“.

ხოლო აკადემიკოსი დ. ბელიანკინი დასკვნადა „საერთოდ და მთლიანად გ. ს. ძოწენიძის თხზულებას ჩვენ მეტად მაღალ შეფასებას ვაძლევთ, როგორც თავისებურ „მოვლენას“ თანამედროვე პეტროგრაფიულ ლიტერატურაში... წინამდებარე კაბიტალური თხზულება შეფასებულია ჩვენს მიერ, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე პეტროგრაფიულ ლიტერატურაში“.

როდესაც 1950 წელს გიორგი ძოწენიძეს სტალინური პრემია მიენიჭა, ალ. თვალჭრელიძე წერდა:

„1950 წლის 4 მარტს ვაგრეთებმა ამაღლევებელი ცნობა მოიტანეს: სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის, რუსეთის გეოლოგიის 87 წლის პატრიარქ-აკადემიკოს ვ. ა. ობრუჩევიან ერთად ახალგაზრდა ქართველი პეტროგრაფის გიორგი ძოწენიძის გვარიც წავიკითხეთ“. ცხადია თავმდაბლობა არ აძლევდა საშუალებას ალ. თვალჭრელიძეს ეთქვა, თუ რამდენი წელი იყო მიუძღოდა პირადად მას თავის მოწაფის წარმატებებში, სხვა ბევრ თვისებებთან ერთად ეს თავმდაბლობა მასწავლებლმა მოწაფესაც გადასცა. თავმდაბლობა არ აძლევს საშუალებას გიორგი ძოწენიძეს, რომ ილაპარაკოს საქართველოში მის მიერ პეტროგრაფიის ახალი დარგის — ლითოლოგიის ჩამოყალიბების გამო და იგი უფრო თავისი ლაბორატორიდან გამოსულ შრომებსა და აღამიანებზე, თავის მო-

პროფესორმა, აკადემიკოსმა, მეცნიერული დახელოვნების ყველა ხარისხები განვლო და შეაღო მშობლიური უნივერსიტეტის კარი — როგორც მისმა რექტორმა.

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოიცვალა არა მარტო გიორგი ძოწენიძის პირად ცხოვრებაში, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საბჭოთა ქვეყანამ განვლო დიდი ისტორიული ეტაპი, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ბრძოლის წლები, დიდი სამამულო ომის პარტიზილი, საბჭოთა ქვეყანა გაძლიერდა და დავაჟკაცდა, მომძლავრდა და მოლონიერდა მისი მეცნიერება — წამყვანი ვახდა მთელ მსოფლიოში. გიორგი ძოწენიძეც ფეხდაფეხ მიუვებოდა თავისი ქვეყნის ცხოვრებას. ოცდაათიან წლებში, როდესაც განაღებული იყო ბრძოლა ნედლეულის ახალი საბადოების ძიებისათვის, გიორგი ყოველთვის ამ ბრძოლის უძნელეს უბნებზე იყო.

მას ნახევლით გურიის ნავთის საბადოების კვლევა-ძიებაზე, სადაც გეოლოგ ილინთან ერთად იგი იკვლევდა გულიანისა და ომფარეთის, სუფხისა და სამღვთო-საკუპრეს საბადოებს, დრო არ ითმენდა



წაფეთხე — ნ. სხირტლაძე, ი. ჩუჩუაშვილი და ვ. ქოივაძე ლაპარაკობს.

ადამიანები კი მას ყოველთვის ახსოვს. თვითონ მხედ ცხოვრებას გამოვლილი იგი შეტად შიშვრად განიცდის ყოველგვარი შევიწროებისა თუ უსამართლობის გამოვლინებას. მრავალი წლების განმავლობაში, როგორც პარტიულ მუშაკსა და საზოგადო მოღვაწის მას ათასგვარ ადამიანებთან უხდელი და ურთიერთობა. საველე სამუშაოებზე — საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და უნივერსიტეტსა და საკვლევო ინსტიტუტებში, იგი მრავალ სხვადასხვა ადამიანს ხვდებოდა. ერთი თვისება დამყვა თავიდანვე, რა გინდ უბიროს და უარყოფითი შთაბეჭდილება არ უნდა დაეტოვებინა მასზე ადამიანს, იგი ყოველთვის ცდილობდა გამოეჩინა მასში დადებითი, საზოგადოებისათვის და საქმისათვის სასარგებლო თვისებები, მიდრეკილვები, ჩასწვლამოდა მის შინაგან სამყაროს — შეიძლება ამაშია „საიდუმლო“ იმისა, რომ იგი ყველასთვის „გახალბის პოულობდა“. ბუნებით შეტად რბილსა და თავაწიან ადამიანს საქირო შემთხვევაში სათანადო სიმტკიცე და სიმძაფრეც გააჩნდა. სამეცნიერო სახელმძღვანელო მუშაობაში, რომელიც მას პარტიამ დააკისრა, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, მან გამოიჩინა თავი როგორც უნარიანმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, როდესაც გიორგი ძოწენიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IV მოწვევის დეპუტატად აირჩიეს, კომპკავშირული და პარტიული მუშაობის მრავალწლიან სკოლა გამოვლინდა, მან შეძლო დიდი სამეცნიერო მუშაობის შეთავსება — სახელმწიფო მოღვაწეობასთან.

და აი, ახლა უკვე როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, იგი მოგაწაურობს — საქართველოს დაბეზსა და ქალაქებში, მთასა და ბარში. იგი კარგად იცნობს ამ ქვეყანას. მის მიწა-წყალს, იგი კარგად იცნობს მის ადამიანებს. მათთან ერთად გაუტარებია მთელი თავისი სიცოცხლე. ახლა იგი კვლავ ხედავს ქვეყანას, რომელიც საკუთარი თვალთ აქვს ნანახი, საკუთარი ფეხით აქვს დაფილი, საკუთარი ხელით მოსინჯული და, მიუხედავად ამისა, იგი სულ ახალსა და ახალს აჩენს იქ, სადაც თასქერ გაუფიქრა, მაგრამ ახლა მისი თვლი უფრო მძაფრად აკვირდება არა ქანების აგებულების თავისებურებას, არამედ ადამიანების შრომასა და ცხოვრებას, წათესებასა და წარგავეებს, ვენახებსა და ბაღებს, გზებსა და ახალ ნაგებობებს, ქარხნებსა და არხებს...

და აი, რუსთაველის პრესბექტი, ბოლნისის შიური ტუფით მოპირკეთებული საწიში და ამავე დროს შეტად სადა შენობა.

ვრცელი დერეფნები, დარბაზები, სამუშაო ოთახები, სიჩუმე. სამეცნიერო ლაბორატორიის დამაბული სიჩუმე. მაგრამ ეს სიჩუმე მხოლოდ მოჩვენებითია. აქ, თბილისის გულში, აი, აქვე ქუჩის გაღაღმა — კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აქვე, ამავე შენობის სხვა სართულებში, მიწისტრთა საბჭოში, და აქ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, თავს იყრის ქვეყნის მაჩისცემა. ამ დამაბულ სიჩუმეს რომ ყური მიაპყროთ, გაიგონებთ ტყბულისა და ჭიათურის მადარობის სანგრევი ჩაქურჩების დგანდვარსა და რუსთავის ბრძმდელებიდან გადმოღვრილი თუქის ნაკადის შესუილს, გაიგონებთ, თუ როგორ აპობს ზღვას ბათუმის გემთსაშენიდან გამოსული გემი და როგორ გაუგუნებს მორთვი ახალი თბილისური ელექტრომავალი, აქ ისმის სადაწნეო გვირაბში შესული ლაქანურის ბირველი ტაღლებების გრილი და აქვე გაისმის ოწეიწროს აღელვებული ხმა, რომელიც მოახსენებს ქვეყნის მესტეურთ ახალი მძღვარი მიდროლექტროსადგურის საპროექტო მოცემულობის პირველ მონახასს.

აქ, იმ დღებში, როდესაც პარტია და მთავრობა ერთობირობიან ხალხს, გაისმის ვაზისუბნელი მევენახის — მიხეილ იაშვილის, მახარამელი ჩაის

მკრეფავის — ტატიანა ჩხაიძის, შირაქელი ტრაქტორისტის — გიორგი დოლიძის თუ ნორიონელი მწველავის სოფიო დელიბაშვილის ხმები, რომლებიც მოახსენებენ თავისი მიღწევების შესახებ, სახვეწ სახალხო მურწნობის განვითარების ახალ გაგმებს.

...აქ იკრიბებიან ადამიანები, რომლებიც დებულობენ მთავრობის მაღალ კიდელებს. რესპუბლიკის პრეზიდენტი პირადად აბარებს კიდელებს ასეულ, ათასეულ ადამიანებს, აბარებს კიდელებს და დარბაზში შეკრებილ ათეულ ადამიანთა უკან ხედავს იმ ათი ათასებს, რომლებიც მათ მხარში უდგანან.

...მასწავლებლებს ენიჭებათ „დამსახურებული პედაგოგების“ წოდება. პრეზიდენტის წინ უკვე ხანში შესული, ამაგდარი მასწავლებლები, ჩვენი ახლგაზრდობის დამსახურებული აღმზრდელები ენაცვლებიან ერთი მეორეს. პრეზიდენტი ხელს ართმევს და აგონდება პირველი თავისი მასწავლებლის კოწია მყურნალის პატარა ოთახი, ერთად თავმოყრილი რამდენიმე ასაკის მოწაფეებით, მერე ის თავისი კარგი მასწავლებელი იოსებ ნარეშელაშვილი...

მერე სიგელებს დებულობენ „დამსახურებული აგრონომები“ — და პრეზიდენტი გულითადად ხელს ართმევს ამ ხნიერ, ველად ყოფისაგან გარუჭულ ადამიანებს... აგონდება ის პატარა ბიჭი, მხარზე თოხგადებული რომ დილაადრიან გარბოდა მწირი ჟანის გასათონანად.

...ქართული სტამბის მშწ წლისთავის გამო საბატიო სიგელებს დებულობენ დამსახურებული მესტამბეები.

...ის პირველი ქიმიის წიგნი, ქუთაისელმა მოწაფემ რომ ხელში ჩაიგდო ამ ჩაშავებული ხელებითა აწყობილი... თბილისური ელმავლების გამოშვებისათვის კიდელებიდან მთელმავლები, ინჟინრები და მუშები.

პრეზიდენტი ხელს ართმევს ათეულ, ასეულ, ათასეულ ადამიანებს, გრძობს მათი ხელის სითბოს, მათი შრომაში დაკოვრილი, დაოსტატებული ძლიერი ხელების სითბოს, გრძობს რომ ეს სითბო აძლევს მას ძალას, რომ კვლავაც დაუღალავად იშრომებს ხალხის სასიეთოდ.

კოტე ჯაპრიშვილი  
ფოტო ო. თ. თურქიძისი

რუკაბ მარტიანი

ქაჩი. 1942

ორაკლი აბაშიძეს



გარეთ თოვს. თოვლში ძლივს სუნთქავს ქერი, გზას ამჩნევია წარბაზნის კვალი. ამ ქარყინაშიც ამ სიფთრეში გულზე მადგია წუხილის კვალი.

შავი სიკვდილი დაძრწის ქალაქში, ზომბამ დაგლიჯა ცა ფერმისდილი, ჩვენი სარდაფის ჭუჭრუტანაშიც ჩასაფრებულა თურმე სიკვდილი!

ყველგან თოვლი და ახლოს ზომბები, კამიშ-ბურუნში—ცეცხლის ფაფარი, სახლები დგანან ვით ქერიგ-ობლები, მათაც არა აქვთ თავშესაფარი.

ჩვენ ვითომ სიკვდილს არ ვუშინდებით და სახე ნამდვილ მეომრებს გვივაგს. რუხი ჩიტები—მესერეშიტები გზას უკაფავენ მომავალ გრიგალს...

სადღაც სარდაფში, თუთუნის კვამლში სუფრაზე ვაშლი დი ნმელი ჩირი, გათენებამდე ჩვენ ასე დაგრჩით და არავისზე არ გვითქვამს ძვირი...

წინ გვედგა ერთი თუნუქის ჭიქა და ვიზოგადით თბილისურ არაყს. ჩვენ ყოველ წუთში ველოდით გრიგალს, რომელიც მართლა ელოდა ქალაქს!

გათენებამდე ერთმანეთს შევრჩით ბვერი ჭირის და სიმწრის მნახველი, გათენებამდე დასტოვე ქერი და თან წაიღე ჩემი ნადველი.

ქერი კი იღვა, დაჭრილი მკერდში, ორი ზღვის შუა კვამლში ჩამდგარი, გახვეულიყო თოვლსა და ცეცხლში ორმოცდაორის მკაცრი წამთარი...





მძიმე ბრძოლაში, დაძაბულ ვითარებაში, ყველაზე კრიტიკულ წუთებში, როცა თვითელი მეომარი სიკვდილს უსწორებდა თავს, მას ყურში ჩაესმოდა მეთაურის ომხიანი ძახილი — „კომუნისტებო, წინ!“ მეთაურის ამ ძახილში ისმოდა ხალხის ხმა, პარტიის მოწოდება თავისი ერთგული და მამაცი შვილებისადმი; და ამ ძახილზე ისინიც წინ მიდიოდნენ, არ ახსოვდათ დაღლა თუ წყურვილი, ჭრილობა თუ უძილობა.

ჩვენს საჯარო წესდებებში, — მეომრული ცხოვრებისა და მოქმედების ამ ოქროს წესებში, — ბევრი საჭირო ძახილი და მუხლია, მაგრამ „კომუნისტებო, წინ!“ ასეთი ძახილი და მუხლი არ არის. ეს თვით მებრძოლთა ცხოვრებამ წარმოშვა, შემოიღო და დააკანონა ჯარისკაცულ ცხოვრებაში. იგი ჩვეულებრივ საწესდებო ძახილზე მაღალია და მთელი საჯარო ცხოვრების წარმართველიც. „კომუნისტებო, წინ!“ — ეს უბრალო ძახილი როდი იყო. იგი თვითელი კომუნისტის გულმტკიცება და მოწოდება, მათი შეგნებული მოქმედების მორალური ნორმა და პარტიული მოვალეობა იყო, რომელსაც ღირსეულად და პატიოსნად ასრულებდნენ ფრონტული კომუნისტები, რიგითი მებრძოლი იქნებოდა, მეთაური თუ პოლიტმუშაკი.

სხვა მრავალთა შორის ამის თვალსაჩინო ნიმუში იყო ძველი ბოლშევიკი ჩვენი შენაერთის მსროლელი ათეულის მეთაური, სერჟანტი პახუმ სიხარულიძე.

1919 წლიდან პარტიის წევრი, ნაცადი კომუნისტი პ. სიხარულიძე ჯარისკაცების პირველი მასწავლებელი და დამრიგებელი იყო. მისი სიტყვის სიმართლესა და სისწორეს მისივე საქმე ატყობდა. ამიტომაც იყო, რომ მის დავალებასა თუ ბრძანებას შეგნებთა და სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდნენ ზელქვეითები და სოველთვის პირნაოდ აღსრულებდნენ საბრძოლო დავალებას. ამიტომ ბუნებრივი იყო, როცა მისი საბრძოლო წარჩინება მაღლიერმა სამშობლომ წითელი ვარსკვლავის ორდენით აღნიშნა, მას მშობელ მამასა-ვით გულთ ულოცავდნენ ახალგაზრდა მებრძოლები.

არა ერთხელ დავსწრებოვარ შენაერთის პოლიტგანყოფილებასთან არსებულ პარტიული კომისიის უჩვეულო და დაუვიწყარ სხდომებში ბრძოლაში, ცეცხლის ხაზზე, საანგარებში, სადაც ხდებოდა წინა ბრძოლებში სახელმწიფო მემართა განცხადებების განხილვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მათი მიღების შესახებ, იმათი გულისხმადების გარჩევა, რომლებმაც ხალხის სახელით, პარტიის სახელით შეუპოვარ, სასახელო ბრძოლაში მოიპოვეს შრომატოვი პარტიის რიგებში შესვლის უფლება.

1942 წლის შემოდგომა იყო, სექტემბრის შუა რიცხვები. ჩვენი დივიზიის პარტიული კომისიის, ერთ-ერთი მსროლელი ნაწილის თავდაცვის რაიონში, წინა ხაზზე, მორიგი სხდომა ჰქონდა დანიშნული, სადაც პარტიაში მისაღება განცხადებების განხილვა იყო გადაწყვეტილი.

პარტიული კომისიის მდივანმა დღის წესრიგი გააცნო კომისიის წევრებს და ის იყო ერთ-ერთ ახალგაზრდა მებრძოლს უხმეს სხდომაზე, რომ ამ დროს ახლოს გაისმა ავტომატის უწერტილო ჯერი, ერთს მეორე მოჰყვა და მცელავმა ცეცხლმა წვილით გადაიარა სხდომის მონაწილეთა თავზე.

— ფაშისტი მეავტომატები, შემჩნეულია მოწინააღმდეგის ჯგუფის შემოჭრა ჩვენი თავდაცვის ზღუდეზე, — მოახსენა მორიგემ პარტიული კომისიის მდივანს.

— პარტიული კომისიის სხდომას დროებით ვწყვეტთ, შევუდგეთ მოქმედებას! — განაცხადა პარტიული კომისიის მდივანმა ამ. გ. მღებრიშვილმა.

ყველანი თავის დახმამაგებდა იარაღით ხელში ჩადგნენ საბრძოლო მწყობრში, მითითებული მიმართულებით გაემართნენ მტრის მეავტომატებთან შესახვედრად. მოკლე, მაგრამ ფიცხელ ბრძოლაში ერთობლივი მოქმედებითა და მარჯვე ცეცხლით აიძულეს მტერი უკან დახეულიყო და მნიშვნელოვანი ზარალით დაეტოვებინა ბრძოლის ველი.

ბრძოლის შემდეგ კვლავ განახლდა პარტიული კომისიის სხდომა.

ამ დღეს პარტიული კომისიის სხდომაზე პარტიის რიგებში მიღებული იქნა ბრძოლაში ნაწილობით, საბჭოთა სამშობლოსა და ხალხის ერთგული ცამეტი მებრძოლი და მეთაური, რომლებიც სხდომის შემდეგ, იქვე ჩადგნენ საბრძოლო მწყობრში, და კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში.

დაუვიწყარია ადამიანისათვის სკკ პარტიაში შესვლის დღე. ამასთან შეიძლება ითქვას საგანგებო, განუმეორებელი, როცა იგი განხორციელდა სამამულო ომის ფრონტზე, ბრძოლის ველზე.

საგარში შემდგარ დივიზიის პარტიული კომისიის სხდომაზე არა ერთხელ მოგვისმენია მებრძოლი ადამიანის საზეიმო აღთქმა: „და თუ ბრძოლიდან ცოცხალი არ დავბრუნდი, გთხოვთ ჩამთვალთ კომუნისტად...“ ეს მთელი არსებით, გულის ხიდრმიდან მომდინარე წმინდა ფიცი იყო სამშობლოს ერთგული შეილისა.

ძალზე საინტერესო, დამახასიათებელი იყო ბრძოლის პროცესში პარტიის რიგებში მისაღება განცხადებები. აი რას წერდა იმ ხანად თავის განცხადებაში პარტიული ბიუროს სახელზე ქართველი კომკავშირელი უფროსი სერჟანტი გიორგი თაფაძე: „ვარ ლენინური კომკავშირის წევრი. საბრძოლო დავალებებს პირნაოდ ვასრულებ, ისე როგორც მოეთხოვება კომკავშირულ მებრძოლს. ამას წინანდელ ბრძოლაში მოკვალი ხუთი ფაშისტი, მტერს წავართვით ორი ტყვიამფრქვევი, ორი რევოლვერი და ერთი ჭოგრიტი. მომავალ ბრძოლებში მინდა კომუნისტად წავიდე. გთხოვთ მიმიღოთ ს.კ.პ. (ბ) წევრობის კანდიდატად...“

მეომრის განცხადება მოკლე იყო და სხარტი, მაგრამ ბევრის მოქმელი.

თავისებური საბრძოლო ფაქტებით მდიდარი და პატრიოტული სულიცვეთებით იყო აღსავსე ასეულის საინტარული ინსტრუქტორის ამხ. ტულუშის განცხადებაც, რომელმაც ბრძოლის ველზე, ცეცხლის ხაზიდან 49 დაჭრილი მებრძოლი გამოიყვანა თავის იარაღიანად და პირველი დახმარება აღმოუჩინა მათ.

მოწინავე მებრძოლებმა და უმცროსმა მეთაურებმა ლუაშვილმა, ფხალაძემ, კუხილაშვილმა, სტეფანაძემ და ქაფიაშვილმა ერთ-ერთი მორიგი დიდი შეტევის წინ შეიტანეს პარტორგანიზაციაში განცხადებანი, რომლებშიც ისინი ს.კ.პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღების დიდ სურვილს გამოთქვამდნენ და მტკიცე პირობას იძლეოდნენ, რომ მომავალ შეტევით ბრძოლაში მამაცობითა და სიმტკიცით კვლავც გაამართლებდნენ ნდობას. ამასთან განცხადებებში აღნიშნული იყო, რომ თუ ისინი ბრძოლიდან ცოცხალი არ დაბრუნდებოდნენ, ჩათვალათ კომუნისტებად.

შექმნილი ვითარების გამო პარტიულ ორგანიზაციას მხოლოდ რაღაც სამი დღით „დააკვირდა“ მათი განცხადების განხილვა, მაგრამ ამ შემოძრების სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ბრძოლიდან არამცთუ ცოცხლები დაბრუნდნენ, არამედ ახალი სახელითა და დიდებით შემოსეს საბჭოთა მეომრის ღირსება და პოლკის დროშა.

შეტევითი ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებისთანავე განიხილეს მამაცთა განცხადებები. ახლა მსჭელობა კიდევ უფრო შინაარსიანი და სახალისო იყო. მათ წინანდელ წარმატებას ახალი წარჩინება ამშვენებდა და მათ მეომრულ ღირსებასა და მორალურ სახეს კიდევ უფრო ამკობდა. ამიტომაც თანაპოლკელმა კომუნისტებმა ერთხმად დაუპირეს მხარი პარტიურის წინადადებას პარტიის რიგებში ამ მებრძოლთა მიღების თაობაზე.

საინტერესოა ამ ახალგაზრდა კომუნისტების, ქართველ მეომართა საბრძოლო ეპიზოდები.

მამაცთა მეავტომატებმა ილია ლუაშვილმა და შაქრო ფხალაძემ თავიანთ ამხანაგებთან ერთად სარდლობისაგან მტრის „მოენის“ მოყვანის საბრძოლო დავალება მიიღეს. საგულდაგულო სამზადისის შემდეგ, ისინი მიცემული მიმართულებით, ლანდებივით გაუჩინარდნენ ღამის წყვედადში. შეუმჩნეველად და მოხერხებულად გადალახეს მთის მშაგი მდინარე და ნაშუალამევის მოწინააღმდეგის საბრძოლო დაცვაში გავიდნენ. — ახლა გვჭირდება განსაკუთრებული სიფხიზლე და მოსაზრებულობა, — წასწრებულმა ლუაშვილმა ფხალაძეს. ამ უკანასკნელმა ვერც კი მოასწრო ამხანაგისათვის პასუხის გაცემა, რომ უცხად მოისმა გერმანელის მკაცრი შეძახილი — „შალტ!“ და საბჭოთა მწვერავეების წინ იარაღმართული ფაშისტთა ოფიცერი აღმართა. მძიმე მღვთმარებოში აღმოჩნდნენ ჩვენი მწვერავეები, მაგრამ მედგარი და მოხერხებული საბჭოთა მეომრისათვის ბრძოლაში არ არის გამოუფალი ვითარება, ეს კარგად იცოდა ლუაშვილმა. აქ ხელდახელ იარაღის ხმარება არ იქნებოდა გამართლებული. ამიტომ მან სტრხს მიმართა: ყასიდად ხელები ასწია, მტერს თავი ისე მოაჩვენა, რომ მის ნება-სურვილს ემორჩილებოდა და ამით მოტყუებულ, ახლო მისულ ფაშისტ ოფიცერს ელვის სისწრაფით თავით დაეჯახა, და მძლავრი დარტყმით მიწაზე დაანარცხა. ამ დარტყმას უმაღ მიუშველა ჩასაფრებული ფხალაძის ავტომატის დუგლუგი და ოფიცრის უკან მღვთმი გერმანელი ეფრეიტორი მშვიდად და სამუდამოდ მიწვა; ლუაშვილმა გერმანელ ოფიცერს მაგრად ჩაველო კისერში ხელები, მოგულა, ზურგზე მოიგდო და რიურაზე საჭირო და საიმედო „მოენე“ ნაწილის შტაბს მოაგვარა.

მამაცი და უნარიანი მეომრები ლუაშვილი და ფხალაძე ღირსეულად დააფასეს და მათ მკერდს დამახსურებულად ამშვენებდა წითელი ვარსკვლავის ორდენები.

ასეთი მოწინავე, გაბედული და საუკეთესო ადამიანებით ივსებოდა ნაწილისა და ქვეგანყოფილების პარტიული ორგანიზაციების რიგები. ამ ნაწილის ახალგაზრდა კომუნისტების, პარტიაში ახლად მიღებული წევრ-კანდიდატების საერთო შემადგენლობის 65 პროცენტზე მეტი დაჭილდოებული იყო სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.


ვეტერ შაჰათაბა



# საქართველოში საზოგადოებრივი საზღვრის

რაგანუ კობიძე

ფოტო ოტარ თუჩაიასი



— ჩემზე აბა, რა უნდა დასწეროთ?... — მომცრო ტანის, თმაქალა-რა და ცისფერთვალბინმა ალექსი ჯავახიშვილმა უხერხულად გაიღიმა, — აი, ვთქვათ, შოფერი რომ ვიყო, მაშინ სხვა საქმეა. ის დღეს თბილისშია, ხეალ კახეთისკენ გაქანდება, ზევ ქუთაისში ჩაიჭროლებს, მერე იქნებ მოსკოვისკენაც გაუტოლოს. გზად აბა ათას რამეს ნახულობს, ათას-გვარ ხალხს ეცნობა, უახლოვდება, ესაუბრება. მე კი ჩემი ვაგონიანა ორ რელსზე ვარ მიჭრული — დინამოს სტადიონიდან მალუდის ფაბრიკამდე და უკან.

— წერილი კი მაინც თქვენზე უნდა დაიწეროს.

— თქვენი ნებაა. — ალექსიმ ისევ გაიღიმა და მხრები აიჩჩია.

— რამდენი წელიწადია, რაც ვატმანად მუშაობთ?

— აგერ ოცდახუთი სრულდება. ოღონდ ფრონტზე ვიყავი, ორმოცდაცხრთის 22 ივნისიდან ორმოცდაოთხამდე. მერე ისევ ტრამვაის დავუბრუნდი.

ალექსი ღარიბი მატანელი გლეხის, ისაქ ჯავახიშვილის ოჯახში დიბადა 1907 წელს. იგი მეოთხე შვილი იყო ცხოვრება უჭირდათ. მშობლებმა ისიც ძლივს მოახერხეს, რომ ალექსისთვის მცირე ცოდნა მიეღებინებინათ სოფლის საღამოს სკოლაში — ქართული წერა-კითხვა ისწავლა და ცოტა ანგარიში. ბავშვობამ ყანა-ვენახში მუშაობასა და ცხვრის საძოვრებზე გაიარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება კარგად ახსოვს ალექსის. მაშინ თოთხმეტი წლისა იყო. უზარმაზარი სოფელი ახალი ცხოვრების მოლოდინით აივსო. მემამულეების მიწები მალე გლეხებს დაურთვეს მაგრამ ღუბჭირი ცხოვრებისაგან თავის დაღწევა არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც ზოგიერთს ეგონა. წლები მიდიოდა, ჯავახიშვილის ოჯახი კი ვერ ამოვიდა გაჭირვებიდან.

სოფელში რომ დარჩენილიყო, ალექსი ძმისა და დების ზვედრს გაიზიარებდა: საკომმუნურეო ცხოვრების ფერხულში ჩაებმოდა, რათა ხალხისათვის მართლაც ახალი და ნამდვილად ბედნიერი ცხოვრება შეექმნა. მაგრამ 1929 წელს იგი ჯარში გაიწვიეს და საარტილერიო ნაწილში განაწესეს. ის ნაწილი ახლანდელი ტირკის პირდაპირ იდგა, გორაკზე გაშენებულ ყაზარმებში.

— მაშინდელი თბილისი უმთავრესად იმ გორაკიდან მახსოვს, — იგონებს ალექსი, — მაშინ იქ ქალაქი თავდებოდა, სად იყო ან მოასფალტებული გმირთა მოედანი, ან თერთმეტსართულიანი სახლი, ან ცირკი და საინაპრო, ან ჩელუსკინელების ხაი... პატარ-პატარა, მოღრეცილი სახლები, უსუფთაობა, ქუჩებში თითო-ოროლა გამვლევი. მაგრამ ჩვენ მაშინვე ვიტყოდით, თბილისი აქეთ უნდა გაიზარდოს, ამ რაიონს დიდი მომავალი უნდა ექნესო. თითქოს წინასწარ ვხედავოთ, რაც იქნებოდა. და გამართლდა კიდევ. სანამ მე ჯარ-

ში სამსახურს მოვთავებდი — ერთ წელიწადს ზემსახურად დავრჩი — ამ მიდამოებში ბევრი რამ აშენდა და გაკეთდა.

1935 წელს ალექსიმ თბილისში დღიანი კურსები დაამთავრა და ვატმანად მანად დაიწყო მუშაობა. მაშინ თბილისში ბელგიური ღია ვაგონები დალიდნენ, ვიწროლიანდავიან გზებზე.

— ეს სამუშაო თავიდანვე მოგეწონათ?

— აბა, როგორ გითხრათ... — ალექსი ჩაფიქრდა, — არ ვიცი, გახსოვთ თუ არა თქვენ ის ტრამვაები. გარედან ცოტათი იმათ წაგავდნენ, ახლა რომ ფუნქციონირებენ დალიან. ზაფხულში არა უშავდა, მაგრამ ზამთარში კი ძნელი იყო მასზე მუშაობაც და მგზავრობაც. ღია ბაქანზე მდგარს სიცივისაგან არაფერი გიცავდა. გამთოშავი ქარი პირდაპირ სახეში, გულშეკრდა და ხელებზე გცემდათ. მაგრამ შევიფუთებოდი ხოლმე, ყურებიან ქუდი ჩამოვიფხატავდი, ყაბალახით თავს შევიხვევდი, მხოლოდ თვალებილა მიჩანდა. ხელებზე ორ და ხანდახან სამ წყვილ ხელთათმანს ვიცვამდი. მაგრამ არაფერი მშველოდა. ცვლის დამთავრებისას გაშეშებული ჩამოვდიოდი ვაგონიდან.

მიმძიმდა, ჩემი ტოლებიდან ბევრი უკეთეს სამუშაოზე მოეწყო. ნაკლებს წვლობდნენ და შემოსავალი კი მეტი ჰქონდათ. ბევრს სასაცილოდაც ავეუღივარ — რას ითომები მაგ ოხერზე, წამოდი, სითბოში დავსვამ და მეტ ფულსაც ავადებინებო. მაგრამ...

მაგრამ ადამიანმა მარტო საკუთარ თავზე ხომ არ უნდა იფიქროს. ის ტრამვაები არ ვარგოდნენ, მაგრამ მაინც დიდ სარგებლობას აძლევდნენ ქალაქს და ალექსიმ გადასწყვიტა — რაკი ამ საქმეს ხელი მივყავ, ბარემ ბოლომდე ვავყვებო. სხვა ვატმანებიც ხომ ასეთ დღეში იყვნენ, სამუშაოს გამოცვლა, ამხანაგების ღალატი იქნებოდა. ადამიანი არასოდეს არ უნდა გაექცეს სამუშაოს, რა ძნელიც არ უნდა იყოს. დიდი საქმეცა და პატარაც, ძნელიცა და ადვილიც ჩვენს ქვეყანაში ხალხისთვის კეთდება. ალექსის ეს ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული.

ალექსი შეჩერდა და საკუთარ ენაწყლიანობაზე გაიღიმა.

— ახლა რას იტყვით? მას აქეთ ხომ ოცდახუთმა წელმა განვლო.

— აბა, როგორ გითხრათ... მე ვფიქრობ, რომ ყველაფერზე კარგი, რაც ჩემს ცხოვრებაში გამიკეთებია, სწორედ ის არის, რომ ძნელსა და მოსაწყენ საქმეს არ ვაგვექეცი.

1936 წლიდან თბილისში ვიწროლიანდაგები აპყარეს და გააუაროვეს. ბელგიურის ნაცვლად ხაზებზე სამამულეო წარმოების, კომფორტაბელური, დახურული ვაგონები გამოვიდნენ. ღია ბაქანებიდან ვატმანებმა ფანჯრებიან კაბინებში გადაინაცვლეს. მაგრამ პასუხისმგებლობა არ შემცირებულა, პირიქით, უფრო გაიზარდა. ქალაქი დღითი დღე იზრდება.



ბოლა და იზრდება, ქუჩებში იზრდება და იზრდება მანქანების, ტრამვაების, ფეხით მოსიარულეთა რიცხვი, იზრდება ზეპური, მგზავრების რაოდენობა, მგზავრების მომთხოვნელობა ტრანსპორტის მუშაკებისადმი...

...ალექსი ჯავახიშვილი უკვე ოცდახუთი წელიწადია, ყოველდღე დილის ხუთის ნახევარზე დგება. მოძრაობის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მიდის პარკში. ყოველდღე გულდასმით, კიდე და კიდე ამოწმებს გამოსასვლელად გამზადებულ ვაგონს. განსაკუთრებით მუხრუჭებს დასტრიალებს თავს — იცის, რომ მუხრუჭების ავარიანობაზე ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული. თბილისში ჯერ კიდევ ბევრია ასეთი მოქალაქე, რომელიც ქუჩაში მოძრაობის წესებს არ დაგიღეს...

შემდეგ ვაგონი გამოჰყავს და დანიშნულ მარშრუტს მიჰყვება. ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ალექსის უმუშაოა თითქმის ყველა მარშრუტზე, რომელიც კი თბილისში არსებობს. მუშაობდა მე-17 მარშრუტზე ძველი კირკიდან ჩერქეზოვის ქუჩით ყოფილ სემინარიამდე, სადაც შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტი იყო. უფლია მე-11 მარშრუტით — სადგურიდან რიყის ქუჩის ბოლომდე, — შემდეგ ეს მარშრუტიც გაუქმდა კალიაივის, ახლანდელი ბარათაშვილის აღმართის გაფართოების გამო. უფლია ისევ მე-11 მარშრუტით, მაგრამ უკვე დინამოს სტადიონიდან ავჭალამდე; მე-5-თი — ლენინის მოედნიდან ვაკეში, და ასე შემდეგ.

ალექსის წვრილმანებად შესწავლილი აქვს ყველა მარშრუტი, იცის,

რა თავისებურება გააჩნია ყოველმათგანს, სად როგორი აღმართი და დაღმართია, სად როგორი მოსახვევი, როგორი დაქანება. იცის, რომ არ არსებობს ადვილი მარშრუტი, ყველა თავისებურად ძნელია და საპასუხისმგებლო.

ვატმანი არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში იმან, რომ რომელიმე ქუჩა, ვთქვათ, შედარებით უკაცრიელია და ამიტომ იქ შეიძლება თავისუფლად ჩართო დიდი სიჩქარე. ყოფილა შემთხვევა, რომ ტრამვაის სწორედ ისეთ ადგილას უმსხვერპლია ადამიანი, სადაც ამას არაფერს მოელოდა. არც რომელიმე უმნიშვნელო დაქანებას უნდა ენდო გადაჭარბებით. ხანდახან, განსაკუთრებით ცუდ ამინდში, როცა ლიანდაგი და ბორბლები სველია, ვაგონი შეიძლება თითქმის სრულად სწორ ადგილზე დაგვიტურდეს და ვეღარასგზოთ ვეღარ გააჩერო. ის რვა საათი, რომლის განმავლობაშიც ვატმანი სამართავ პულტს უზის, საუსეა უდიდესი ნერვიული დაძაბულობით, ხოლო მრავალ კილომეტრიანი გზის ყოველი ნაბიჯი მოულოდნელი ხიფათით გამოუტყდება.

ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ვატმან ალექსი ჯავახიშვილს არ ჰქონია არც ერთი ავარია. ადამიანის მსხვერპლზე ლაპარაკი ზედმეტია. მას უტარებია თავისი ტრამვაი ხალხით გაჭედულ მოედნებსა და ბაზრებზეც; დიდ აღმართებზეც, წვიმაშიც და თოვლშიც და არსად, არასოდეს მას თავისი პროფესიული ოსტატობა და პატიოსნება არ შეუღალავს.

შეიძლება რამდენიმე ციფრის მოყვანა ამ ადამიანის მიერ გაწეული საქმიანობის დასახასიათებლად: მას



უკვე მილიონ კილომეტრზე მეტი აქვს გავლილი თბილისის მაგისტრალზე; მოძრაობის გრაფიკს, როგორც წესი, 100% ასრულებს. ბევრი მარშრუტის სიგრძე თბილისში არა ერთი და ორი კილომეტრით განიზომება, ხოლო იმისათვის, რომ გრაფიკი ზუსტად დაიცვა, არც ერთ გაჩერებაზე არც ერთი წუთით არ უნდა დაიგვიანოს.

— ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი დღე გავაცდინე, — იგონებს ალექსი და უხერხულად იღიმება, — ეს თორმეტობდე წლის წინათ იყო. მაშინ მე-5 მარშრუტზე ვმუშაობდი. იმ დღეს მეოთხე თუ მეხუთე წრე უნდა დამესრულებინა. მელოქიშვილის ქუჩაზე გავედი. ქუჩა თითქმის სრულიად უკაცრიელი იყო და ტრამვაი სრული სისწრაფით გაფიქანე. უცბად რომელიმე ქუჩის ნივთიდან თორმეტობდე წლის ვაგონი გამოვარდა და დაუფიქრებლად პირდაპირ მისკენ მიმჭროლაფი ვაგონისკენ გამოიქცა: გადასწრება უნდოდა. გაქანებულ ვაგონსა და ვაგონას შორის ათიოდე ნაბიჯიც არ იქნებოდა. ვაგონას შეიძლება გადაესწრო კიდევ, მაგრამ უცბად რაღაცას ფეხი წამოჰკრა და ზედ ლიანდაგზე წაიქცა... ამ წამს შემდეგ ხეირიანად აღარაფერი მასსოვს. მუხრუჭებს ვეცი, ვაგონას ვეღარ ვხედავდი. ტრამვაის ვაგონი თითქმის შეხტა და ერთ ადგილზე გაჭევადა. ხალხის წვილ-კივილი მომესმა. მანამდე ცარიელი ქუჩა უცბად ხალხით გაივსო და ყველა ვაგონისაკენ მორბოდა. თავბრუსხვევით, მთლად აკანკალებული ჩამოვედი ვაგონიდან. ოფლმა დამასხა, მუხრუჭები მეცეცებოდა... აღარაფერი გამეგებოდა ამ ქვეყნის. დაეინახე კი, რომ ვაგონა ლიანდაგიდან წამოხტა და, ერთიანად მტვერში ამოვანგლული, პეტრიაშვილის

ქუჩისკენ გაჰქანდა. იმ დღეს მუშაობა ვეღარ შევძელი. შემცველი გამოიძახეს და მე სახლში წავიდი.

— სამაგუროდ, ადამიანის სიცოცხლე გადავირჩინე.


— უფრო გამოდის... — ალექსი ისევ უხერხულად იღიმება.

— ვინ იყო ის ვაგონი, არ ვაგვიცხადებ?

— არ ვცი. ისე უკანმოუხედავად გარბოდა, საწყალი, რომ... იმის თავი აღარ მქონდა... თუ ქუჩაში სიარული იწყავდა, ახლა უკვე დაქალბული იქნება; უმადლეს დაამთავრებდა და, იქნებ, გათხოვდა კიდევ. მე არც სახელი ვიცი მისი და არც გვარი.

თვითონ ალექსის ორი საცოლე ვაგი ჰყავს, ორივე საშუალოდამთავრებულია და ორივე მუშაობს. ალექსის შალე ახალ ბინას მისცემს სამმართველო და მაშინ შევიღების ქორწილი გაიმართება.

— უნა როგორ მომხრიალდება იმის სათქმელად, მაშაჩემზე უყვითესი ვაეკაცი ვარ-მეთქი, — ჩაფიქრებით ამბობს ალექსი, — ძალიან მხნე, პატიოსანი და გამრჩე კაცი იყო საწყალი. მე არც განათლებითა ვარ მაინცდამაინც იმაზე შორს წასული. მაგრამ მაინც ისე გამოვიდა, რომ შეილება უკეთესად დავზარდე. ამით მამაჩემის ხსოვნის შეურაცხყოფა კი არ მინდა. ერთხელ კიდევ გაიგოს ყველამ, რამდენი რამ მოგვცა ჩვენ, უბრალო მშრომელებს, საბჭოთა ხელისუფლებამ, ჩემს შეილებს წინ ნათელი და სწორი გზა უღვეთ. ჩემი მოხუცებულობაც უზრუნველყოფილია, — ორიოდ წლის შემდეგ პენსიაზე გადავალ, მანამდე კი ისევ უნდა ვიმუშაო, როგორც აქამდე ვმუშაობდი.





## თიქოსელი

დასაწყისში მხოლოდ საამქროში არ ხმაურობენ. ისინი მხოლოდ დილის შვიდი საათიდან შუადღის სამ საათამდე არ ხმაურობენ. დასაწყისში ხმაურობენ მერცხე, როცა იგი სინათლეს აქრობს და მოკეცილ საბანს საწოლში სხედლის სითბოთი ათბობს. მანქანის ფარებიდან წამოსული სინათლე ფანჯრის ერთი კუთხიდან კედლებზე და ქერზე გადაივლის, იატაკზე ფარდის მკაჩხანებს გადახატავს და მეორე კუთხეში გაუჩინარდება. მაშინ ხელშეკრულ მძღოს წყვილი და სიჩუმე და წყვილი და სიჩუმე დასაწყისში უფრო მეტად ხმაურობენ.

დადა-და, დადა-და, დადა-და.  
თიქოს მატარებელი გადადის ხილზე. ხმაურობენ დასაწყისში, დღუღუნებენ, გუგუნებენ, გრიალებენ. ეს გუგუნე მეორდება, როგორც შორეული გზების სიმღერა, როგორც შრომაში გამარჯვებული ადამიანის სიმღერა, როგორც დაუდგარი ახალგაზრდაობის მქუხარე სიმღერა... ამ დასაწყისში სიმღერაში მისი დასაწყისის ხმებიც ურევია.

როცა იგი სამ სახელურს გადასწევს მარცხნიდან მარჯვნივ, სამი ლაფათი მყისვე ამოძრავდება, სამი რეგულიატორი იტრიალებს მარჯვნიდან მარცხნივ, სამაქოო კოლოფიდან სამი მაქო გამოვარდება და გაიქცევა სამი ლაფათის გასწვრივ მარცხნიდან მარჯვნივ. მარჯვნიდან მარცხნივ...

სამ საქსელე დერძზე გაბმული და ჯახებზე გაჭიმული ქსელის ძაფი ნელა მიიწევს პატარა შავგვრემანი ქალიშვილისაკენ, ნელა, ძალიან ნელა, თიქოს შეუმჩნევლად, თიქოსის ტატიო მიიწევს მისკენ. ძაფი დღემის თვლებშია გაყრილი. დღემის თვლები ხან მალა აიწევს, ხან დაბლა ეშვება და მონოტონურად მეორდება ისევ:

დადა-და, დადა-და, დადა-და.  
თიქოს მატარებელი გადადის ხილზე. ხილიდან ფანჯრის ანარეკლი ეცემა ვერცხლისფერი მდინარის ზედაპირზე, ვერცხლისფერი ძაფების მდინარეზე, რომელიც მისკენ ტატიო მიიწევს. ვერცხლისფერი ძაფებზე ციმციმებენ სინათლის ჩქერები, რომლებიც დასაწყისთან დაკიდებულ ნათურიდან იღვრება...

ვერცხლისფერი ძაფები მიიწევენ მისკენ, როგორც სივრცეში გაწვდილი ლიანდაგები, რომელზედაც მთვარის შუქი ირეკლება... თიქოს მატარებელი გადადის ხილზე და ლიანდაგებზე მთვარის შუქი ირეკლება... წინ უსასრულო გზებია, პირდაპირი გზები... არიბი გზები... ამ გზებზე ერთმანეთს უერთდებიან ლიანდაგები, უერთდებიან და მერე ისევ შორდებიან... მიმავალ მგზავრები ხელებს იქნევენ და სიბნელეში უჩინარდებიან... მატარებლის ფანჯრის ანარეკლი ციმციმებს მდინარის ზედაპირზე. მატარებელს მისდევენ ბოძები, ტყეები, მდინარეები, ბორცვები. ისინი მორბიან, ტრიალებენ და გარბიან. მატარებელი განათებულ სადგურებში შედის. კვამლი იშლება, იფანტება და ზევით მიდის. გუბებში ვარდება მთვარე. იგი ჯერ გაჭიმულ მავთულზე ეცემა და მერე გუბებში ვარდება. ვერცხლისფერი ძაფები ნელა, ძალიან ნელა, თიქოსის შეუმჩნევლად, თიქოსის ტატიო მიიწევენ მისკენ. ვერცხლისფერი ძაფები, ვერცხლისფერი ლიანდაგები...

მატარებელი განათებულ სადგურებში შედის, სადაც მოგონება ხანსაჟღერით წუთით ჩერდება და ხან დიდხანს ეტებს რაღაც მივიწყებულს. ეს განათებული სადგურები მისი ბიოგრაფიის ბედნიერი სადგურებია.

დადა-და, დადა-და, დადა-და.  
თიქოს მატარებელი გადადის ხილზე.

სადაც მიჰქრებიან საბარგო მატარებლები, რომლებსაც მიჰქვთ მანქანები, ხე-ტყე, ნავთი, ბენზინი... და აბრეშუმი, მისი მოქსოვილი აბრეშუმი...

ვერცხლისფერი ძაფები, ვერცხლისფერი ძაფები კი არა, ვერცხლისფერი ლიანდაგები ერთმანეთს უერთდებიან და მერე ისევ შორდებიან და მიემართებიან მოგონებების ვარდისფერ ბურუსში...

იქ, იმ ვარდისფერ ბურუსში და ლამის წყვილი ვიწრო და ირიბი გზა მიყვება მთებს, ველებს, მდინარეებს... გზის მარჯვნივ და მარცხნივ სოფლებია. ზოგი დაკეცილ ველებზე ანთია ჩირალდნება, ზოგი მთების უბებში მიყუყულა. გზა მიდის ლამის წყვილი და სიჩუმეში... გამხმარ ბალახებში და ჩამოცვენილ ფოთლებზე მღერის ნოემბრის ქარი.

იქ სადაც პატარა სოფელია — ახა. ავტობუსი გაივლის დვანისს. გაივლის კიდევ ოცდახუთ კილომეტრს. ამტვერებს გზებს. გამოედება გაშემულებულ და გაშვირლ ტოტებს. ამღვრებს



და ააშხეფებს პატარა მდინარეებს, რომლებიც პატარა ქვებსა და კენჭებზე იმსხვრევიან, გადაივლის ხილს და სამხრეთ საქართველოს პატარა სოფელში შევა.

სოფლის ბოლოში დიდი კაკლები დგანან. იქვე პატარა წისქვილია. გზა სოფელზე გადის. გზის ხელმარჯვნივ დანგრევის გადარჩენილი ძველისძველი საყდარია, ხავსიანი კრამიტითა და ჩამომტვრეული ჩუქურთმებით. საყდართან შარუბანაშვილების აივანიან სახლია. სახლის ფანჯრებში შემოდის ნოემბრის ყვითელი მზე და ანათებს ზედ ქვითან მიშენებულ დაცარიელებულ ბუდეებს. ფანჯრის ფარდებს ეთამაშება ხატაურა და სკოლაში მარბიან ჩანთიანი ბავშვები...

აივანზე ზის დიდება ელისაბედი. სანამ მზე სახურავზე გადაივლიდეს და მთებს ამოფარებოდეს, ბებერ ძველებს ითბობს. მერე, როცა მზე ჩავა, შემოვა სახლში, მიუჯდება ბუხარს, კალთაში ჩაიდებს ლურჯი არშიებით მოხატული ქაშანუ-

გვი ილიას ძე გეგეჭკორი (დაიბადა 1933 წელს) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების დამთავრების შემდეგ მუშაობს ჟურნალ «ცისკრის» რედაქციაში. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის წლებში მონაწილეობას იღებდა ლიტერატურული წრის მუშაობაში. 1952 წელს მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა ალმანახ «პირველ სხივში». 1953 წლიდან მისი ლექსები და ნარკვევები იბეჭდება პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. ვებეჭდავთ მის ნარკვევს, რომელსაც ჟურნალ «დროშის» 1959 წლის კონკურსზე შესამე პრემია მიეკუთვნა.



რის ჯამს და ზედ თითისტარს დააბზრიალებს. ძაფი ნელა ადის მალა და მერე ისევ ნელა ეშვება დაბლა. სანამ თითისტარს დააბზრიალებდეს, დიდება ტუჩებთან მიიტანს თითებს, დაისვენებს და მერე ხელს გაჰყავს თითისტარს. ძაფი ისევ ნელა ადის მალა და მერე ისევ ნელა ეშვება...

რას ფიქრობს დიდება ზამთრის გრძელ დამეგებში?

რატომ ეფინება მის დანაოქებულ სახეს კეთილი ღიმილი?

ასკამეტი წელი იცხოვრა დიდება ელისაბედმა ამ ქვეყანაზე. მრავალი შვილი, შვილიშვილი და შვილიშვილისშვილი ჰყავს. რომელზე ფიქრობს დიდება, რომელს უცინის!.. იქნებ ქალაქში წამოსულ შვალაშვილზე ფიქრობს, იქნებ მას უცინის!

ნუ ფიქრობ ჩემზე, ჩემო დიდებო!..

აბრეშუმი-საქსოვ ფაბრიკაში როგორი ადამიანები არიან, იცი?.. ხომ იცი!.. ჰოდა, ძალიან შეგვიჩვიე, ძალიან დავუახლოვდი. უკვე ხუთი წელიწადია აქ ვმუშაობ და აბა რა იქნება!.. ჩვენი ინსტრუქტორი ლიზა სრესელი არის-მეთქი, რომ გუბუნებოდი, იქნებ გახსოვს, აი ის—მალა, წარმოსადგე და თამაშვერცხლი ქალი. პენსიაზე უნდა გასულიყო და არ გაეუშვით, ვერ შეგველიეთ. ის რომ საქსოვ საამქროში შემოვა, გული გაინათდება. არ გაეუშვით, თუმცა მეორე ინსტრუქტორიცა გყავს — შურა ნაჭყებია. ისიც ძალიან კარგი ქალია, დიდებო!.. დავით ალიბეგაშვილზე რომ გითხარი, ისიც გახსოვს იქნებ... ჩვენს კომუნისტურ შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს. ბრიგადაში სულ ცამეტი კაცი ვართ. მაყვალა, თამარი, რაისა, თარი ლილი... ბრიგადაში ყველაზე კარგი ყენია შარუბანაშვილი არისო, ასე ამბობენ, დიდებო!.. ყენია ხომ მე ვარ. გუშინ კრებაზეც გამომიყვანეს. არ მახსოვს, რა ვთქვი. ალბათ, კარგად ვთქვი, რომ ტაში დამიკრეს.

რად გეცინება, დიდებო?..

ნუ გეცინება, დიდებო, მე მართლა კარგი მქსოველი ვარ.

თუ კარგი მქსოველი ვარ, რატომ არ გავთხოვდი აქამდე?

რა დიდი მე ვარ, ოცდაერთი წლისა ოც დეკემბერს შევსრულდები. მერე და რა საჩქაროა?! ნუ გეშინია, ჩემო დიდებო, გავთხოვდები. აბა, ვინ არ მითხოვს? ხომ ხედავ, რა გოგო ვარ? შვილიშვილი გინდა, დიდებო? ხომ გყავს შვილიშვილები და შვილიშვილისშვილები!.. მაინცდამაინც ჩემი შვილი გინდა?..



მე სამი დაზგა მბარია, დიდედო. ორი ექვს-დგიმიანი და ერთი ოთხდგიმიანი, ფაბრიკაში დი-ლით მივდივარ, შვიდ საათზე. ლურჯ ხალათს გა-დავიცვამ. სამ სახელურს გადავწვევ მარცხნიდან მარჯვნივ და მყისვე ამოძრავდება სამი ლაფათი. სამაქოო კოლოფიდან სამი მაქო გამოვარდება და გაიქცევა სამი ლაფათის გასწვრივ მარცხნიდან მარჯვნივ, მარჯვნიდან მარცხნივ...

და მეორედ ისევე დადა-და, დადა-და, დადა-და. თითქოს მატარებელი გადადის ხილზე.

თუ ქსოვილზე ძაფი ამოვარდა, ნემსით ვასწო-რებ. ძაფი თუ გამიწყვდა, სწრაფად გადავაბამ-ლითონის დიდი თვლით მაქოში ძაფს გავუყრი და მაქოს კოლოფში მოვათავსებ. მერე გადავწვევ სახელურს და გაიქცევა მაქო მარცხნიდან მარჯვ-ნივ, მარჯვნიდან მარცხნივ... ცარიელა მასრებს დაზგაზე გაბმული წინაფრის ჯიბეში, ვყრი. რკი-ნის პატარა. მიღს, რომელზედაც მაქოსმტყორც-ნელა მოძრაობს, ყოველთვის ნავთიანი ჩგრით ვწმენდ, თორემ მტყორცნელა მოეშვება, მაქო გა-მოვარდება და დაზგა შეჩერდება.

მე ძალიან მიყვარს, ჩემო დიდედო, როცა ვერ-ცხლისფერი ძაფის მდინარე ნელა, ტაბათი მო-იწვევს ჩემსკენ და ლაფათის ჩრდილი როცა თოვ-ლისფერ ქსოვილს ეცემა. ისინი მოიწვევენ ჩემს-კენ, ყვითელი, თეთრი და ვარდისფერი ძაფები. პიკესი, სარკისა და დუბლსატინის ძაფი თეთრია, შიფონისა — ყვითელი და ვარდისფერი. პიკე და სარკა ექვსდგიმიან დაზგაზე იქსოვება. შიფონი — ოთხდგიმიანზე. ექვსდგიმიანზე შიფონი ძნელი საქსოვია. ყვითელი, თეთრი და ვარდისფერი ძა-ფები მოდიან ჩემსკენ, ჩემს თითებს ელოლიავე-ბიან, ეფერებიან, ელაციცებიან და მესაუბრე-ბიან. ძაფსა და ქსოვილს თავისი ენა აქვს. ისინი შარბუროთ მესაუბრებიან და მოდიან. მოდიან უწყვეტ ნაკადად. მათი შარბუროთ ერთვის დაზ-გების გუგუნსა და გრიალს. ამ ხმაურში თავდა-პირველად მე არაფერი მესმოდა. მერე მივეჩვიე. კარგად მახსოვს, საქარხნო-საფაბრიკო სკოლის დამთავრების შემდეგ ამ სამაქოში პირველად რომ შემოვდილი... ცოტა შეგვართი კიდეც, ცოტა ავი-ბუზე კიდეც, მაგრამ მალე გავშინაურდი. ორ დღე-ში ძაფსაც ვუშვებდი უკვე. მაგრამ ძველი მქსოვე-ლები არ მანებებდნენ, ძაფებს დაგვიწყვებთავო. ახ-ლა სხვებსაც ვეხმარები. პირდაპირ ლუიზა ღვინია-შვილის დაზგები გუგუნებენ, ზურგსუქან ლილო სიბაშვილი დადის. დაზგებს შორის. მოწაფეცა მყავს, მზია კამლაძე. ახლა დროც სწრაფად გარ-ბის, ჩემო დიდედო, და დაზგების ხმაური მიმყ-ვება გარეთ...

დაზგები მხოლოდ სამაქოში არ ხმაურობენ. დაზგები ხმაურობენ მერეც, როცა საწოლში ვწვე-ბი და საბანს სხეულის სითბოთი ვათბობ, წყვილი-ადში, და სიჩუმეში დაზგები უფრო მეტად ხმა-ურობენ.

დადა-და, დადა-და, დადა-და... თითქოს მატარებელი გადადის ხილზე.

დამის წყვილიადა და ბორბლების ხმაურში ვხედავ სიზმრებს, რომლებსაც არც დასაწყისი აქვთ და არც დასასრული...

მე ვხედავ, როგორ მოიწვევენ ვერცხლისფერი ძაფები. ჩემსკენ, როგორ ირეკლება მთვარის შუ-ქი ლიანდაგებზე. მე ვხედავ მიმავალ მგზავრებს, რომლებიც სიბნელეში უჩინარდებიან; განათე-ბულ სადგურებს, გაჭიმულ მეთულებზე დაცე-მულ მთვარეს, საბარგო მატარებლებს, რომლებ-საც მიაქვთ ჩემი მოქსოვილი აბრეშუმი; ველებ-ზე ჩირაღდნებად ანთებულ სოფლებს, დიდ კა-ლის ხეებს... მე ვხედავ ჩვენს აივნიან სახლს და ხატურას, რომელიც თათებით ფარდის ფოჩებს ეთამაშება... მე ვხედავ დედის სანთლისფერ სახეს და მის ხელებზე დაყრილ ყვავილებს, პატარა ბავშვის უბებზე დაგორებულ ცრემლებს და სოფლის ბოლოში პატარა სასაფლაოს... ამ სიზ-მრებში ყოველთვის შენ მიხუტებ, ჩემო დიდე-დო!... მეკრძნე მიხუტებ და კეთილი ღიმილით შემოგაქვს ჩემს პატარა გულში ათასი მზე... და კვლავ ხმაურობენ დაზგები. ლულუნებენ, გუ-გუნებენ, გრიალებენ. ეს გუგუნე მეორდება, რო-გორც შრომაში გამარჯვებული ადამიანის სიმ-ღერა, როგორც დაუღეგარი ახალგაზრდობის მქუ-ხარე სიმღერა, როგორც შორეული გზების სიმღერა.

მე როდესაც დავიბადე ამ ქვეყანაზე, ისინი გუგუნებდნენ და მელოდნენ. როდესაც ზამთ-რის გრძელ ღამეებში ლურჯი არშიებით მოხ-ტული ქაშანურის ჯამზე თითისტარს აბზრიალებ-დი, ჩემო დიდედო, ისინი კვლავ გუგუნებდნენ და მელოდნენ, და როდესაც ავტობუსი გამოდი-ოდა ჩემი სოფლიდან და თბილისში მოვდიოდი. ისინი მაშინაც გუგუნებდნენ და მელოდნენ. ისინი მე ახლაც მელიან, ჩემო დიდედო!... დილის შვიდ საათზე მელიან. მე ვიცვამ ლურჯ ხალათს. გადავწვევ სახელურს მარცხნიდან მარჯვნივ და გუგუნებენ ჩემი დაზგები.

დადა-და, დადა-და, დადა-და...

თითქოს მატარებელი გადადის ხილზე. შედის განათებულ სადგურში, მიარღვევს მოგონებების ვარდისფერ ბურუსს და მიმაქროლებს ბედნიერო მომავლისაკენ...

ფოტო გურამ თიბანაძის

ქართული სცენის დიდოსტატს, საბჭოთა კავ-შირის სახალხო არტისტს აკაკი ვასაძეს 80 წელი შეუსრულდა.

ორმოც წელზე მეტია, რაც იგი ემსახურება თა-ვის საქვარულ ხელოვნებას და ამ ხნის განმავლო-ბაში მან არა ერთი დაუფიქარი სახე შექმნა. რო-გორც მაღალნიჭიერმა აქტიორმა და რეჟისორმა აკაკი ვასაძემ თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შე-იტანა ქართული თეატრალური ხელოვნების გან-ვითარებაში. ათეული წლების მანძილზე იგი არის რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი და რე-ჟისორი, ამ თეატრის ყველა მიღწევასთან განუ-რელად დაკავშირებულია მისი სახელი.

აკაკის შემოქმედება ყოველთვის იყო მაღალ-იდუური და მაღალ მხატვრული. იგი ფართო გან-ზოგადობის შემოქმედია და მის საუკეთესო ნამუ-შევრებს ყოველთვის ახასიათებს დიდი მასშტაბუ-რობა.

აკაკი ვასაძე არის ბრწყინვალე ნიჭიერებისა და დიდი ინტელექტის შემოქმედი. იგი არის ნამდვი-ლი პროფესიონალი თავისი საქმისა, მისი მუშაო-ბიდან გამოირჩეულია შემთხვევითობა და უპასუ-ხისმგებლობა.

აკაკი ვასაძე რუსთაველის თეატრის დაარსების დღიდან ყველა საშუალებით იზრძოდა ჩვენში ახა-ლი თეატრალური კულტურის დამკვიდრებისათვის. ქართული თეატრის განახლებისათვის. იგი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი კორპორაცია „დუ-რუჯისა“ და „დურუჯის“ მანიფესტის ერთ-ერთი ავტორი.

მან მღელვარებითა და გამარჯვებით გაბრწყინ-ვებული თავისი შემოქმედებითი გზა დაიწყო მხა-ტვრობით გატაცებით, გაიარა მარჯანიშვილთან და ახმეტელთან მუშაობის დიდი სკოლა, და ბოლოს გახდა მთელი დიდი საბჭოთა ქვეყნის სახალხო არტისტი.

აკაკის მიერ შესრულებული როლების რაოდენობა ასზე მეტია, ხოლო მის მიერ დადგმული სპექტაკლების რიცხვი რამდენიმე ათეულს აღ-წევს. მისი არტისტული ბიოგრაფიაც იმ დღიდან დაიწყო, რა დღიდანაც ახალი ქართული თეატრი იწყებს თავის ისტორიას. ვასაძემ ითამაშა მარჯა-ნიშვილის პირველ სპექტაკლში „ცხვირის წყარო-ში“ ესპანელი გლეხის მენგოს როლი.

აკაკის აქტიორული ნიჭის მწვერვალზეა შილერის ფრინც მორი „უჩაღებიდან“ და შექს-პირის იაგო „ოტელოდან“.

ორივე ეს როლი იყო არა მარტო ვასაძის მორი-გი გამარჯვება. არამედ მთელი ქართული თეატ-რალური ხელოვნების ტრიუმფი იყო და ამ სპექ-ტაკლებმა სწორედ ასეთი შეფასება დაიმსახურეს, როგორც საქართველოში. ისე მთელს საბჭოთა კავ-შირშიაც.

აკაკი ვასაძე უკანასკნელ ხანებში ქუთაისის მუხ-ნიშვილის სახელობის თეატრს ჩაუდგა სათავეში და დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე მშობლი-ურ ქალაქში მუშაობას ახალგაზრდული გატაცუ-ბითა და ენერგიით შეუდგა.

მან უკვე დადგა ქუთაისში რამდენიმე შესანიშ-ნავი სპექტაკლი და თავთავ, როგორც აქტიორმა ახალი გამარჯვება მოუტანა ჩვენს თეატრს ყვარ-ყვარე თუთაბერიის როლის ნიჭიერად განსახიერე-ბით.

აკაკი ვასაძე დიდი ენერგიისა და გაქანების შემო-ქმედია. იგი ჭერ კიდევ მოწყურებულია ახალ შე-მოქმედებითი ბრძოლებსა და გამარჯვებებს.


მის პატივისმცემელ მაყურებელსა და მაღლიერ ქართველ ხალხს სჯერა, რომ იგი კიდევ ბევრ ახალ სიტყვას იტყვის ჩვენს ხელოვნებაში.







ქართული  
ბიბლიოთეკა



აკაკი ვახაძე

მხატვარი ა. ბანძელაძე






თბილი ზამთარი



სკვილები ასფალტზე



ოსტატის ხელები



წვიმის შემდეგ



ფაქსი  
საქართველო  
თბილისი

ფოტო  
მთავარი თემატიკის





ქართული  
ბიბლიოთეკა



მ. ხვიცია — პეიზაჟი




ე. კალანდაძე  
კომკავშირელი გოგონა





**მერაბ პლიოზიანი**



მერაბ აბელის ძე ელიოზიანი (დაიბადა 1934 წელს) დამთავრა ქალაქ თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტი. 1958 წლიდან

მისი მოთხოვნები და ნარკვევები იბეჭდება ჟურნალ «ცისკარში».  
მოთხოვნას «მოლოდინი» ჟურნალ «დროშის» 1959 წლის ლიტერატურულ კონკურსში მიეკუთვნა მეორე პრემია.

— ნახელიკ, ნახელიკ! — იძახის იპოლიტე. თერთი წინსაფარი, კოკარდგადაბმული რკინიგზელის ქული, ცისფერკანტახუნებული ლურჯი შარვალი... ამ წარისა არ იყოს, იპოლიტესაც თავის დროზე წარივით ხმა ჰქონდა, მაგრამ მას აქეთ ორი რევოლუცია მოხდა. პირველ რევოლუციას თავისი გამოჩინილი საფანტიანი თოფით შეხვდა იპოლიტე. იპოლიტეს ეზო ყაზარმის ეზოს ებჭინებოდა. ჰუჭრუტანიდან უყურებდა ხოლმე იპოლიტე სალდათების ვარჯიშს.

— **Сотня, ло-жись!**  
— **Сотня, с коле-на!** — ისმოდა ყაზარმის ეზოდან არაუში ნახანავები ასმეთაურის სრინწიანი ბრძანება.

— **Сотня, ло-жись!**  
— **Сотня, с коле-на!** — წკრიალა ხმით იმეორებდა ხოლმე იპოლიტე... ახლა იპოლიტესაც ჩახლეჩილი ხმა აქვს.

— ნახელიკ! ნახელიკ! — იძახის იპოლიტე... 1917-ში ლიანდაგზე იწვა იპოლიტე და გაბზარულ შაშხანას ისროდა...

პატარა ტანისაა იპოლიტე; დგას — დაცუცქული ზგონია კაცს, მიდის. მაშინაც დაცუცქულსა ჰგავს...

სამოქალაქო ომშიაც არ დაჭრილა იპოლიტე. — იღბალი კი არა, პატარა ტანი გშველის, იპოლიტე, — დასციხოდნენ წითელარმიელები, — შავი ტანსაცმლით რომ დაგხვას კაცმა ახალმოსულ თოვლზე, მაშინაც კი სნაიპერი ასი ნაბიჯიდან ას სროლაში ოთხმოცდაცხრამეტს დაგაცილებს...

იმათ ხუმრობაზე იპოლიტეს უფრო მეტად ეციხებოდა. წარმოიდგენდა ხოლმე თეთრად გადაპენ-

**მხატვარი ზურაბ ლეჟავა**

ტილ ტრიალ მინდორზე შავ ტანსაცმელში გამოწყობილ თავის თავსა და სიცივისაგან კი არა, სიბრაზისაგან აცახცახებულ მტრის სნაიპერს...

— ნახელიკ! ნახელიკ! — იძახის იპოლიტე ჩახლეჩილი ხმით. გულზე ოთხმოცდაერთიანი ნომერი ჰკიდია იპოლიტეს, თუმცა იმის გარდა არავინასხვა მუშა სადგურზე.

სამოქალაქოს შემდეგ ოცდაათი წელი მისი რეალ მუშაობდა იპოლიტე ამ სადგურზე. ერთი ლიანდაგიდან მეორეზე გადაჰყავდა სწრაფი და საფოსტო მატარებლები, ჯართითა და ნავითი დატვირთული გრძელი, უანგისფერი ქარავნები. ამ სადგურზე გადის გზა მოსკოვისაკენ, კიევისაკენ, ასტრახანისა და ბაქოსაკენ.

ორმოცდაერთში აღარ წაუყვანიათ იპოლიტე; უკვე ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული. სამაგიეროდ იპოლიტეს ერთადერთი ვაჟი, დეპოს მთავარი ინჟინერი ანდრო, წავიდა მამულის დასა-

ადგური პატარაა, მაგრამ იმდენივე ლიანდაგი აქვს, რამდენიც ყველაზე დიდ სადგურს. სადგურს ყავს უფროსი, უფროსს — მოადგილე. სადგურში არის საბარგო ტანსაცმელი, სალაროები და კარგა მოწრილი სახელოსნო — „დეპო“. დღისით სადგური მშვიდი და წყნარია, შებინდებიდან გათენებაშივე კი მოძრავი და ხმაურიანი; გლიჯინ-გლიჯინი გაუდით საფოსტო და სწრაფ მატარებლებს, ჯართითა და ნავითი დატვირთულ უანგისფერ ქარავნებს. ბაქანზე რკინიგზელების საპატიო დაფაა გამოდგომული. დაფაზე თავები, თავები იციხიან, ან სერიოზულად იცქირებიან მრგვალი ჩარჩოებიდან...

დროგამომშვებით ამანათების ურიკა ჩაივლის ბაქანზე, ან სადგურის მორიგე გამოჩნდება კარებში: — უღარ! — დაიშლარუნებს წმინდა ლაზარეს ეკლესიიდან ჩამოსხნილი გაბზარული წარი. წარის უღარუნზე იპოლიტეს ჩაეცინება ხოლმე: „სამრეტლოზე დიდი ხმა ჰქონდა, აქ კი აგურზე დაცემულ რკინასავით უღარუნობს... წავიდა წარების დრო... წავიდა...“

**მოლოდინი**







ნერი... მე იმ ანდროს მამა ვარ, იპოლიტე... იმ  
 ორასი კაციდან მხოლოდ ორმოცი წაიყვანეს,  
 არც ამ ორმოცი კაცის გაშვება უნდოდათ, მაგ-  
 რამ თავბირი წააჭამეს კომისარს... ორმოცდასამ-  
 ში მივიღე შავი ქაღალდი... მამა! ორმოცდასამში  
 მივღე... ნეტა რა გიღვეს ისეთი ამ სკვდრებში, რომ  
 ასე დაუმძიმებია წიგნები, ალბათ... ანდროსაც ბევ-  
 რი ჰქონდა, ორი ტარკა ჩავიტანე ქაღალქის სამკითხ-  
 ველოში“...

წინ შავფარაჯიანი მგზავრი მიღის საღვურის ქუ-  
 ჩაზე, უკან ოფლში განვითქული იპოლიტე მის-  
 დევს. „შვიდას ერთი, შვიდას ორი, შვიდას სამი,  
 შვიდას ოთხი, შვიდას ხუთი“... უკანა ჩემოდანი  
 უფრო მძიმეა წინაზე. უკანა ჩემოდანი წინასა  
 ხდლევს. იპოლიტე ორივე ხელით აწევს წინა  
 ტვირთს, მაგრამ მაინც ვერ აწონასწორებს, რა  
 ქნას? დაუძახოს, შემეშველო? „არა, არა, არც მა-  
 გას უნახია ომი, მაგასაც, ალბათ, იმ ატენელივითა  
 ჰგონია, რომ დონე მუხლებშია... არა, დონე მუხლე-  
 ბში არ არის. დონე რომ მუხლებში იყოს, იპოლი-  
 ტე ადგილიდანაც ვერ დასძრავდა ამ სიმძიმე  
 ბარჯს... დონე გულშია, გულში! გული კი დიდი  
 აქვს იპოლიტეს... შენი შველა არ უნდა იპოლი-  
 ტეს, თვითონაც გაისწორებს დაცურებულ ჩემო-  
 დანს“... მთებმა ისევ მალდა აიწიეს. ჭერ უკანა  
 ჩემოდანი შეეხო მიწას, მერე მეროდე... თოკმა მო-  
 უშვა მხარზე... რამდენიმე წამს იყო ასე ჩაცუც-  
 ქული და ხარბად სუნთქავდა... „ნეტა უკან არ მოი-  
 ხედოს!“ მგზავრს უკან არ მოუხედავს... იპოლი-  
 ტემ თოკი მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე გადაიტა-  
 ნა, კიდევ ჩაისუნთქა და ისევ დაიჭიმა თოკი...

„ჰოოპ, ჰოპი ჰოოპ, ჰოპი“ — მთებმა ისევ დაბ-

ლა იწყეს დაწევა. „ჰოოპ, ჰოპი ჰოოპ, ჰოპი“ —  
 ისევ აკრიალდა ჩემოდნების უურები... „ჰოოპ,  
 ჰოპი“ — იპოლიტე წელში გაიმარტა... „ჰოპი!“ —  
 მთები და იპოლიტე ერთმანეთს გაუსწორდნენ...  
 მგზავრმა მოიხედა და შეჩერდა... „ჰოპი!“ — იპო-  
 ლიტე ისევ დაიძრა. „ათას შვიდასერთი, ორი, სა-  
 მი, ოთხი, ხუთი“.

მგზავრმა გზა განაგრძო. მიღის შავფარაჯიანი  
 და მისდევს იპოლიტე... „ათას რვაასერთი, ორი,  
 სამი, ოთხი, ხუთი... იმ ორმოცი დეპოელიდან  
 თხოუმეტილა დაბრუნდა ომის შემდეგ, ორმოც-  
 დაექვსში. დანარჩენებზე შავი ქაღალდები მოვი-  
 და ქაღალქში... გამოიტირეს კიდევ თავთავიანთი  
 დაღუპულები პატრონებმა, ბარე ათ წელზე მეტი  
 გავიდა მას შემდეგ... მაგრამ შარშან ამ დროს იყო  
 სწორედ, ლადო სმიაღშვილი, სერგო მახათაშვი-  
 ლი და კოტე გელაშვილი რომ დაბრუნდნენ. იმათ-  
 ზედაც ორმოცდასამში იყო შავი ქაღალდი მო-  
 სული, აღარც იმათი იმედი ჰქონდა ვისმე... თორ-  
 მეტ-თორმეტი წლის გამოგლოვებულები დაბ-  
 რუნდნენ... თითო სამ-სამჯერ დაჭიბნა იპო-  
 ლიტემ. კოტე გელაშვილმა სამჯერვე ერთი და  
 იგივე გაიმეორა: ჩემი თვალით ვნახე ორმოცდა-  
 ოთხში ანდრო, ლაზარეთში იწვა, ჭრილობას იშუ-  
 შებლაო... ტყუილი რომ ეთქვა, ერთხელ ზომ მა-  
 ინც შეეშლებოდა, დაიბნეოდა, აირეოდა, ან  
 სხვაგვარად ეტყოდა... სამჯერვე ერთნაირად უთხ-  
 რა კოტემ: ორმოცდაოთხში ჩემი თვალითა ვნახე ან-  
 დრო, ლაზარეთში იწვა და ჭრილობას იშუშებ-  
 დაო... ათას ცხრაასერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუ-  
 თი... აგერა სასტუმროც. სადაცაა მივლენ, აღა-  
 რაფერი დარჩა... ათას ცხრაასორმოცი, ორმოცდა-

ერთი, ორმოცდაორი, ორმოცდასამი... ორმოცდა-  
 სამში მოვიდა შავი ქაღალდი ანდროსე და სხვა  
 ბიჭებზე — სასტუმრო, სასტუმროს კიბეები... მო-  
 ველით, მოველით!.. მოიცა, მოიცა! კიბეებთან ახ-  
 ლოს მივალ, რომ უფრო ადვილად ჩამოხვდეთ!..  
 და იპოლიტე კიბეებთან მიდის, უფროსი სასტუმ-  
 როსაკენ ბრუნდება, პირი მთებისაკენ აქვს... „მარ-  
 ჯვენა ფეხი გამოიღე უზანგიდან, უფრო მარჯვედ  
 ჩამოხვალ“... იპოლიტე მთებისაკენ იცქირება,  
 მაგრამ მთები აღარ ჩანს... „ჩამო, ჩამო!“... იახის  
 იპოლიტე და ნელ-ნელა ეშვება კიბეებზე... ჭერ  
 უკანა ჩემოდანი შეეხო საფეხურს, მერე წინაც,  
 მერე იპოლიტეც...


მთები აღარა ჩანს, ჩამოხვდნა მთებისაკენ...  
 „ალბათ, მთვარე თუ ჩავიდა და იმიტომ ჩამოხვდ-  
 ნა!“.

ერთ ხანს ასე ზის იპოლიტე კიბეზე, მერე ნელ-  
 ნელა ხსნის თოკს, კეცავს და ჭიბეში იდებს...

— გმადლობ! — ეუბნება შავფარაჯიანი ინ-  
 უინერი იპოლიტეს და ჭიბეში რაღაცას უდებს...  
 „ქილაში ჩაისხი, თუკი რამეს გადაადნობ! ვითომ  
 შენ ვერ მოერეოდი!..“

...ეეჰ, მადლობ!, ვერას გადაადნობ შენ ჩვენს  
 დეპოში... იქ სხვა ბიჭებია, სხვა ბიჭები!“

შინისაკენ მიღის იპოლიტე... მთები ოხევა ჩანს...  
 მთებზე ალაგ-ალაგ გადახვეტილა თოვლი... „მაგა-  
 რი ქარი თუ ქარის მთებზე“... ფიქრობს იპოლიტე...  
 „ალბათ, ძანა ცივა მთებზე!“





# ჭრის ჩრჩივნი მზ-მ



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სიტყვა მისცეს თბილისის საელმწივლო დეპოს უფროს მემანქანეს გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბოგვერაძეს. მომხსენებელმა ყურადღებით გადაავლო თვალი რკინიგზელთა სახლის დიდ დარბაზს: აქ ისხდნენ რკინიგზის მაგისტრალის ვეტერანები, მისი ოქროს ფონდი. პრეზიდენტში იმყოფებოდნენ მაგისტრალის მეთაურები, გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშვიძე. ბოგვერაძემ უბის წიგნაკს ჩახედა, ოღონდ ჩაფიქრდა და შემდეგ დიწყო თბობა თავისი ბრიგადების საქმიანობაზე. მემანქანე ლაპარაკობდა აუჩქარებლად, თვითვე სიტყვას წონიდა. დასასრულ განაცხადა, რომ მისი ბრიგადები ამჟამად იბრძვიან იმისათვის, რათა ელექტრომაგვალმა გაარბინოს ხუთასი ათასი კალომეტრი აწვეითი შეკეთების გარეშე.

ქუჩაში გამოსვლისას ბოგვერაძეს ნაცნობი მემანქანე წამოეწია: — გრიგოლ, ხუთასი ათასი ბევრი ხომ არ არის? — კითხა მან. გამოცდილი მემანქანის დაეჭვებამ გრიგოლს მხოლოდ გაახსენა ის სერიოზული დაპირება, რაც მან ტრიბუნლიდან წარმოთქვა.

საერთოდ, მიღებულია, რომ ელექტრომაგვალმა უნდა გაიაროს შეუქცევებლად ორასი ათასი კილომეტრი. ბოგვერაძე ამაზე არა ერთხელ დაფიქრებულა: რატომ ორასი ათასი და არა მეტი? საუკეთესო ლოკომოტივის აქვს მძლავრი წვეის ძრავები, შესანიშნავი მექანიზმი, საიმედო მოძრავე ნაწილები. მაგრამ აქვს ელმავალს ერთი სუსტი ადგილი — გოგორწყვილის არტახები. ისინი იცვიანებთან სხვა ნაწილებზე აღრე და მათ გამო ელექტრომაგვალ წყვეტს მუშაობას. საჭირო იყო ამ ნაკლიანების დაძლევა და ლოკომოტივი შეძლებდა დიდხანს შეუქცევებლად მუშაობას.

გრიგოლ ბოგვერაძემ და მისმა ამხანაგებმა იცოდნენ, რომ გოგორწყვილების არტახებს გაცვეთა გარდაუვალა. ლიანდაგთან განუწყვეტელი შეხება, სისტემატური ხეხვა და დარტყმები ცვეთს არტახების ფოლადს, რაც არ უნდა მაგარი იყოს იგი, ამის შემდეგ მანქანა თითქოს კოჭლობას იწყებს, მოითხოვს სერიოზულ „მკურნალობას“. ნუთუ არ შეიძლება არტახების გაცვეთის შეჩერება, მათი სიცოცხლის გახანგრძლივება? რთულია, ძალზე რთულია ასეთი ამოცანის გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, გრიგოლ ბოგვერაძე მაინც დაადგა ამ ძნელ გზას.

ნოვატორ მემანქანეს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში დიდი დახმარება გაუწია შემეცნებელი საამქროს კოლექტივმა.

პირველად როდი კიდებდა კომუნისტურ ბოგვერაძე ხელს ისეთ საქმეს, რომელიც მოითხოვდა მოქმედებისა და აზრის გამხედრობას, შემოქმედებით წვას. მას ყოველთვის შეელოდა ამხანაგებთან მჭიდრო კავშირი, მათი მხარდაჭერა. კოლექტიური აზრის ცოცხალ საქმედ გადაქცევა გახდა გრიგოლ ბოგვერაძის შეუცვლელი წესი. და უფროსი მემანქანე თავის ბრიგადებთან წავიდა: გაუზიარა მათ თავისი ჩანაფიქრი, გაახსენა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

მეღმავლეები ყურადღებით უსმენდნენ ბოგვერაძეს. მან აღაგზნო ისინი გაბედული ჩანაფიქრით. მაშინ კი მისმა მეწყვილე მემანქანეებმა ვახტანგ მიდოდაშვილმა და გრიგოლ ნანიტაშვილმა, მემანქანის თანაშემწეებმა ოთარ შავერდაშვილმა, სერგო ჭელიძემ და კამილ კალანდაძემ — ელექტრომაგვალ BJI 22 M—416 ბრიგადამ უფროსი მემანქანის გვერდით თავიანთი გარეობი მიაწერეს სოციალისტურ ვალდებულებას: ლოკომოტივის გარბენა აწვეითი შეკეთების გარეშე აყვანილ იქნას ხუთასი ათასი კილომეტრამდე.

მეორე დღეს ბოგვერაძის ბრიგადის წამოწყება დეპოს პარტიულ ბიუროზე განხილეს. პარტიულის წევრებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მას და დაადგინეს: ბოგვერაძის მიერ წამოწყებული საქმე ახლობელი უნდა გახდეს ყველა მეღმავლისათვის.

...მძიმეწონიანი მატარებელი ხაშურისაკენ მიქრის. მატარებელი მიიკლანება, გარს უვლის კლდიან ბორცვებს და დასავლეთისაკენ მიიწევა. მემანქანის მძალე კაბინიდან ვასკეტირის სივრცეს გრიგოლ ბოგვერაძე. ფანჯრებს იქით წვრილად ტრის.

ბოგვერაძე სახელურს აწვება და სასილეს ადებს. ქვიშის წვრილი ნაყადი ლიანდაგებისკენ მიისწრაფს.

ელექტრომაგვალ მიქრის მშრალ ყვირთელ გზაზე. თვლები აღარ „ბუქსაობენ“. ესე იგი ბოგვერაძემ ამჯერადაც დაზოგა არტახები ზედმეტი გაცვეთისაგან. მოგება შეიძლება ერთ მემსულ მილიმეტრს უფროს, მაგრამ ამ მიქროსკოპულ წვლილს თავისი მნიშვნელობა აქვს.

გრიგოლ ბოგვერაძე თვლის, რომ ყველა მემანქანე „ცოტა მეტეოროლოგიკ“ უნდა იყოს. თუ კოცისპირული წვიმა დაასხამს ლიანდაგს — ეს არაფერია: მოჭიდები მაგრდება. მაგრამ წვიმამ თუ ოდნავ დანამა ლიანდაგები მშინ სიფრთხილეა საჭირო: მოჭიდები სუსტდება, თვლები ცურავს, როგორც ყინულზე. ამიტომ, მემანქანე სრულყოფილად უნდა იყოს დაუფლებული მატარებლის ტარებას. უნდა გრძობდეს მის „მოქმედებას“. ყველაფერ ამას ფლობს პირველი კლასის მემანქანე გ. ბოგვერაძე. და განა მართო „ბუქსაობა“ უმოკლეს სიცოცხლეს არტახებს? ბოგვერაძემ ამხანაგების ყურადღება მიაქცია, აგრეთვე, ელმავლის ერთ მეტად მნიშვნელოვან ნაწილს — რესორებს.

— გაივით, რომ რესორებზეა დამოკიდებული არტახების „განმრთელობა“, — ხშირად ამბობდა იგი. ამიტომ იგი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა „მზრუნველობა“ გაეწიათ რესორებისათვის.

კიდევ მრავალი დაბრკოლების დაძლევა მოუხდათ ნოვატორებს, რათა შეესრულებინათ ნაყისრი ვალდებულება. ტექნიკური სიახლე, ინჟინრებთან შეთანხმება და, რაც მთავარია, დაძაბული, მონდომებული შრომა დაუპირისპირეს მათ ყველა სიძნელეს. დღითი დღე იზოგებოდა თვლების ფოლადის არტახები. უკვე ხუთასი ათასი კილომეტრზე მეტი გაიბრინა ლოკომოტივმა, არტახების ცვეთა კი ორ ნახევარ მილიმეტრს არ აღემატებოდა.

... დღისით და ღამით, ზაფხულის პაპანაქებასა და შემოდგომის უამინდობაში, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე განუწყვეტლივ მიმოდინა მატარებლები. მათ გადაყავთ მგზავრები, ეზიდებიან ხე-ტყეს, მადანს, ქვანახშირს, სააღმშენებლო მასალებს და სახალხო მეურნეობის სხვა ტვირთს.

მძიმეწონიანი მატარებლის ელექტრომაგვლის კაბინიდან იშვარება სივრცეში სოციალისტური შრომის გმირი, უფროსი მემანქანე გრიგოლ ბოგვერაძე. მას შესახვედრად კი მოჭირან მშობლიური ქართული მთები, მოიკლანებიან მდინარეები, ციმციმებენ რკინიგზის შუქნიშნები. თავისუფლად, კმაყოფილებით აღსავსე მიაქროლებს ახალგაზრდა მემანქანე ფოლადის გზებზე მორიგ, მძიმეწონიან შემადგენლობას.

გვითხიე რაზმავა.

## ჭიათურის კონსენია და კარიბანის ეკონომიური ლიკლომაგიის დაეარსება

### პახანა მანი

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას თავისი შოღვაწეობის დაწყება ქვეყნის სახალხო მეურნეობის სრული დაცემის პირობებში მოუხდა. სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელი შეიქნა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ და 1921 წელს პარტიის V ყრილობის მიერ მიღებულ, გენიალურ გეგმაზე: „ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე“ — გადასვლის შემდეგ, რომლის პირობებში ხდებოდა კერძო კაპიტალის ერთგვარი გამოცოცხლება, მისი სათანადო სახელმწიფოებრივი კონტროლის ქვეშ დაყენება. სახალხო მეურნეობის სწრაფი განვი-

თარებისათვის ახალი ეკონომიური პოლიტიკა შესაძლებლად თვლიდა უცხოელ კაპიტალისტებისათვის ცალკეულ საწარმოთა იჯარით გადაცემას, რითაც იქმნებოდა საბჭოთა მსხვილი მრეწველობისა, პირველ რიგში მძიმე მრეწველობის, უფრო სწრაფი აღდგენის შესაძლებლობა.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისთან დაკავშირებით შეიქმნა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების საკონცესიო კომიტეტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ და აწესრიგებდნენ ყველა საკონცესიო საკითხებს საბჭოთა სახელმწიფოსა და უცხოელ მეწარმეთა შორის.

1925 წლის 12 ივნისს საკავშირო საკონცესიო კომიტეტმა ხელშეკრულება დაუდო ამერიკელ მრეწველ პარიმანს ჭიათურაში კონცესიის შექმნისა და მარგანეცის მოპოვების უფლების შესახებ.

ხელშეკრულება დაიდო 20 წლის ვადით. მთელი მოპოვებული მარგანეცი პარიმანს საზღვარგარეთ უნდა გაეტანა. ამავე დროს, პარიმანს კონცესიაზე უნდა დაენერგა ტექნიკა 4 მილიონი მანეთის კაპიტალური დაზანდებით, ვიწრო ლიანდაგის რკინიგზა გადაეყვანა ფართო ლიანდაგის-







წელს რომში ტარდება XVII ოლიმპიური თამაშები. ამ ზაფხულს ყველა სპორტული მარშრუტი, ყველა გზა ისევ რომისკენ დაიძრება. ამ უძველეს ქალაქში ერთმანეთს შეერკინებიან უძლიერესი სპორტსმენები, თანამედროვე გლადიატორები, რომლებიც...

— რა შუაშია გლადიატორები?! — მოულოდნელად შემაწყვეტინა ჩემმა მეგობარმა წერა, მერე დანაშავესავით გაიღიმა, — მაპატიე, უნებურად ჩავხედე შენს ნაწერს. ჩემი მეგობარი კალათბურთის ბრწყინვალე ოსტატი იყო. ახლა აღარ თამაშობს, მაგრამ ვერაფერ იტყვის, რომ იგი სპორტს ჩამოშორდა, ახალ თაობას ზრდის, წერს შეჯიბრებათა რეპორტაჟებს, ერთი სიტყვით, ისევ სპორტით სულღმყოფობს. დღესაც იმისათვის შემომიარა, რომ ცირკში წავეყვანე კლასიკური კიდაობაზე დასასწრებლად.

— რა შუაშია-მეთქი გლადიატორები? — გაიმეორა მან.

— მინდოდა სპორტსმენები შემედარებინა ძველი გლადიატორებისათვის, — არც ისე დამაჩერებლად ვუპასუხე მე.

— არაზუსტი შედარებაა, ამჟამად რომის არენებზე მოასპარეზენი თვითონვე გადასწყვეტენ თავიანთ ბედს... სჯობს ჩვენს სპორტსმენებზე დასწერო, მათ შესაძლებლობებზე...

— ასეც ვაპირებდი! — ვუთხარი მე და წერა განვაგრძე.

...წელს ჩვენი ქვეყანა მესამედ მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში. ჰელსინკის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის გუნდმა I-II ადგილები გაიყო ამერიკასთან ერთად. ასეთივე დიდ გამარჯვებას მიიღწია სამამულო სპორტმა მსოფლიოს ოლიმპიადაში. ქართველ სპორტის მოყვარულებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ საბჭოთა სპორტის ამ ტრიუმფში თავისი წვლილი შეიტანეს ქართველმა სპორტსმენებმა — ქორჭიას, კარტოხიას, მშვენიერაძის, გოყელი, დუმბაძის, დვალიშვილის სახელები, ალბათ, დღემდე ახსოვთ ფანელ და ავსტრალიელ მაყურებლებს.

მაგრამ წელს? წელს რომელი ქართველი სპორტსმენის გვარი აინთება რომის სტადიონებზე? რომელი ქართველის მკერდს დაამშვენებს XVII ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი?

ჩვენს რესპუბლიკას საუკეთესო სპორტსმენები ჰყავს, მოკურნავენ ბიდან დაწყებული ალბინისტებით გათავებული, ზღვის დონიდან უმაღლეს მთების მწვერვალებამდე. თუ კი ძველად სპორტის მოყვარულ ქართველებს მხოლოდ კიდაობა და კრიკში შეეძლოთ თავიანთი ფალავნების გამოყვანა, დღეს სპორტის ყოველ დარგს დაუფლებია ახალგაზრდობა, მათი სახელები დიდი ჩანია

გასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. დღევანდელ ქართველ სპორტის მოყვარულებს არა მარტო კიდაობაში, სპორტის ყოველ სახეობაში ჰყავთ თავთავიანთი საყვარელი ფალავნები.

და ახლა, როცა ახლოვდება რომის XVII ოლიმპიური თამაშები, ყველა ფიქრობს თავის ფალავანზე, ყველა სწონის და ანგარიშობს საყვარელი სპორტსმენის შანსებს. შესძლებს თუ არა კობა წაქაჩე ტრამპლინიდან გადმოხტომისას კარგად დავცეს თავის „აქტივების ქუსლებზე“? შესძლებს თუ არა რობერტ შვალაყაძე თავისი „ქერის“ შენარჩუნებას? შესძლებენ თუ არა ჩვენი წყალბურთელები, მოფარიაკენი, ზუსტი სროლის ოსტატები საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების კვლავ დაშვებებას?

სპორტის მოყვარულებს გული სწყუდებათ, რომ საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებ გუნდში მხოლოდ ერთი თბილისელი, გურამ შინაშვილია. მათ მიიჩნიათ, რომ ქართველ კალათბურთელთაგან, რომლებიც ქვეყნის ჩემპიონები არიან, კიდევ ერთი ორი სპორტსმენის შეყვანა შეიძლება ქვეყნის ნაკრებში. იქნებ ისინი მართლნი არიან, იქნებ ეს თანამემამულეთა გულშემატკივრობით მოსდით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მწვერთელები არ შესცდებიან და შინ არ დასტოვებენ უძღვრეს კალათბურთელებს. სამაგიეროდ, ყველას უხარია, რომ საბჭოთა მოფარიაკეების უძლიერეს გუნდს შემატა ქვეყნის ახალი ჩემპიონი, კოსტავა, იგი, ალბათ, მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთი მონაწილე იქნება. შესანიშნავი წყალბურთელებს გვერდში ამოუდგა — ჩიქვანია, ჩიკვაძე, მძღვინებს — სესაძე...

— ტანმოვარჯიშეებს — მზია ნინოშვილი! — კვლავ შემაწყვეტინა ჩემმა მეგობარმა, — მზია ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ მე პირადად დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ.

— ყოველ შემთხვევაში, ჯერ ოლიმპიელთა დონემდე არ მიუღწევია.


— ვინ იცის, ვნახათ...

...ქართული სოფლები, — განვაგრძე წერა, — უწყვეტად ამარაგებს ჩვენს მოქიდავეთა გუნდებს ახალი და ახალი დევნილებით. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მრავალი ახალი ქართველი მოქიდავე გამოჩნდა საკიდაო ხალიჩებზე. მაგრამ სპორტის მოყვარულებს გული სწყუდებათ, რომ იმავე ხალიჩებზე აღარ ამშვენებს თავისი ბრწყინვალე გამოსვლებით მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, მელბურნის ოლიმპიურ თამაშთა ოქროს მედალის მფლობელი გივი კარტოხია. ის კი ჯერ ისევ ფორმაშია, ჯერ კიდევ არ მიუღწევია „სასიფთაო“ ასაკამდე, და, ალბათ, შეუძლია მეოთხედ და მეხუთედაც დასცეს ბეჭებზე მსოფლიოს ყველა ფალავანი.

სპორტის მოყვარულები ეჭვობენ, რომ გივი კარტოხიას, ჯერ დაუმარცხებელ მოქიდავეს, არ უნდოდა დამარცხებულს მიეტოვებინა სპორტი. მაგრამ ბორის წაიქაძე და ოთარ ქორჭია, რომლებიც ბოლო წლებში ჩვეული ბრწყინვალეობით ვეღარ თამაშობდნენ, განა დამარცხებულნი დაემშვიდობნენ მოედნებს?

ასე რომ, გივი უნდა დაუბრუნდეს ხალიჩას, კვლავ ასახელოს საბჭოთა სპორტი, და თუ მისი წამქვევი გამოჩნდება, დაე, გამოჩნდეს, ჩვეული დიდსულოვნებით გადაკოცნოს იგი და დაუთმოს ასპარეზი. ჯერ კი აღრეა, ადრეა წასვლა.

— დაამთავრე? — მკითხა მეგობარმა და ოლუსტრიებული ჟურნალი,



ლი, რომელსაც უკვე მეათედ ფურცლავდა, გვერდზე გადაღო.

— ახლავე!

— ჩქარა, თორემ დავიგვიანებთ ცირკში.

— ჩვენს ფეხბურთელებზედაც დააწერ და, მორჩა.

— ფეხბურთელებზე ყველაფერი ცნობილია, — ჩქარობდა ჩემი მეგობარი, — მესხი სსრკ-ს ნაკრებშია შეყვანილი და წელს; ალბათ, მოივლის მსოფლიოს სტადიონებს. ოლიმპიურ ნაკრებში კი თბილისის „დინამოს“ ორი-სამი ფეხბურთელი მაინც შევა — იამანიძე და კოტრიკაძე, ჩოხელი და კალოვი.

— ჰო, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ქართველი ფეხბურთელები წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში.

— ეგ არ დასწერო, არ იქნება სწორი, — შენიშნა მეგობარმა, — ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში ავთანდილ ჭკუასელი იღებდა მონაწილეობას.

— ჰო, მართლა, ავთო... რატომ აღარ თამაშობს ავთო? — წამოვიძა-

მე მე და თითქოს ტყვიასავით დარტყმული ბურთის ხმა მომესმა.

— რა ვიცი, ალბათ, მასაც ეშინია, დამარცხებულმა არ დასტოვოს სტადიონი.

— არ ვიზიარებ მაგ თეორიას. — ამბობენ, გუნდის დისციპლინას არ ემორჩილებოდაო, მერედა, რა მონაცემები აქვს მაგ ბიუს...

— თუ იგი ნამდვილი ფეხბურთელია და სურს გაახაროს ფეხბურთის გულშემატკივრები, ადგება ავთანდილი და მივა გუნდში, თუ დანაშავეა ბოღისმაც მოიხდის ამხანაგების წინაშე. აი, მამონ დავიჯერებ, რომ იგი ნამდვილი ფეხბურთელია. დაე, გუნდის ამხანაგებმა დაივიწყონ, თუ ავთანდილმა რაიმე აწყენინა, ასე

აგობებს საერთო საქმისათვის. ჩემმა მეგობარმა საათს დახედა და წამოგა.

— მერე დაამთავრე შენი წერილი, წავიდე ახლა.

... ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ უკვე ცირკში ვისხედით და გატაცებით ვადევნებდით თვალს ჩვენი მოქიდავეების ასპარეზობას. ერთმა გარემოებამ მიიქცია ყურადღება — ხალიჩაზე ჩატარებული ყოველი ლამაზი ილეთის შემდეგ მაყურებლები შეთქმულებითი იხედებოდნენ იარუსისაკენ. ჩვენც მივიხედეთ და... თითქოს განგებო, ერთად ისხდნენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, მოქიდავეთა რისხვა, გივი კარტოხია და შესანიშნავი თავდამსხმელი ავთანდილ ჭკუასელი. და ჩვენ თითქოს გამოვიცანით ასობით მაყურებლის, სპორტის მოყვარულების საერთო გულისთქმა — არავის იქ მყოფს არ სჯეროდა, რომ ამ ორ ბრწყინვალე სპორტსმენს ვეღარ იხილავდნენ, ერთს — საკიდაო ხალიჩაზე მძინვარეს, მეორეს — ფეხბურთის მწვეან მინდორზე მოთარეშეს.





## ბრწყინვალე ქორნილი და ლაგაჟი ქვეყანა

ირანისა და სხვა ქვეყნების პრესა და რადიო გაიგოს ირანის შაჰის მოპამედ რეზა ფეხლევის და ფარაჰ ღიბას ქორწილის სასწაულო ამბებით.

...კაბის უგრძესი კლდე, თეთრი წაულის მანტო, ალმასების გვირგვინი, წყლის წვეთების მსგავსად გამოთლილი უშველვებელი ალმასების საყურეები... შაჰის „როლს-როისი“ მიგორავს ხალხით მოფენილ ქვაფენილზე...

ყოველ ქალიშვილს შეუძლია იოცნებოს „ათას ერთი ღამის“ ამ სასწაულო ქვეყანაზე, თუ კი არ ეცოდინება, რომ ამ დიდებულ ქორწილს ზემოთგან მსოფლიოს ერთ-ერთ ულტაქეს ქვეყანაში — წერს ჟურნალისტი ნელი ფელდი გაზეთ „ლუმინატეში“, „ეს ბრწყინვალე სპარსული ხალია, რომელზედაც მოგორავდა შეფის „როლს-როისი“, ექვსი წლის ბავშვების პატარა თითები თაა მოქსოვილი... ირანის საქსოვ მრეწველობაში 40% ბავშვები და 54% ქალია. შათი თვიური ხელფასი დაახლოებით 6500 ფრანკს შეადგენს (ე. ი. დაახლოებით 70 მანეთს); კაცების შრომის ღირებულება, თუ კი ისინი იშოვნაან სამუშაოს, 10.000 ფრანკია (ე. ი. დაახლოებით 110 მანეთი). ამ „გადანაშთ“ ქვეყანაში გამეფებულია უმუშევრობა, სოფლად ჯერ კიდევ პრაქტიკულად არსებობს ბატონყმობა, გლეხების 95%-ს არ გააჩნია მიწა. გლეხები სხვის მიწაზე მუშაობენ და მათი წლიური ხელფასი ჩვეულებრივ დაახლოებით ერთი ტონა ხორბლის ღირებულება, ე. ი. 35.000 ფრანკს შეადგენს (რაც დაახლოებით 3.800 მანეთს უდრის). უმეტესობა თიხით შელესილ ქოხებში ცხოვრობს, რომლებშიც

ერთადერთი სარკმელი — საკვამლე ნახვრეტია ქერში.

იგივე სურათია დედაქალაქში, თეირანის სამხრეთის უბნებში ათასობით ადამიანი უწყლოდ და უსინთლოდ ცხოვრობს ალბანის ქოხებში.

ირანი — უჩვეულო ფუფუნების, ნავთობისა და ღიდი მემამულეების ქვეყანაა. ირანი — სილატაკისა, ავსებელი ციხეებისა და სიკვდილით დასჯის ქვეყანაა...

დედოფლის თეთრი შლეიფი იმდენად გრძელია, იმდენად გრძელი... თუმცა არც იმდენად, რომ შეიძლოს ყოველივე ამის დაფარვა“.

და აი, პრესა და რადიო სახესეა ამ ქორწილის ამბებით — ორმოცი წლის რეზა ფეხლევს ცოლად ირთავს პარიზის სამხატვრო აკადემიის ყოფილ სტუდენტს ფარაჰ ღიბას. ეს შაჰის მესამე მეუღლეა.

როდესაც შაჰი თეირანის მარმარილოს სასახლის სარკვეთა ვალერეაში მივიდა, ფარაჰ ღიბა დედის თანხლებით აქ დახვდა. დაპატიჟებული იყო სულ ოცდაათამდე სტუმარი.

მომავალი დედოფლის კაბის კუდი რვა ბანოვანს მოჰქონდა, ხოლო წინ მიუძღვოდა ორი ბოქუნა, რომლებიც იატაკზე ვარდის ფურცლებს აპნევდნენ...

ფარაჰ ღიბას დიდებულ საქორწინო სამოსს ოთხი კვირის განმავლობაში ორმოცდაათი ადამიანი კერავდა... აბრეშუმის გაბარდინის კაბა, რომლის კორსაყი ირგვლივ მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებითაა ინკრუსტირებული, ნეილონის ექვსა ქვედა ტანი, ცხრაშეტირანი აუდი, თორმეტმეტრიანი, ლეჩაქი... ორმოც მეტრზე მეტი მატერია მოუხდა ამ „ანსამბლის“ განხორციელებას...

ასე აღწერენ გაზეთები შაჰის ამ „სენსაციურ“ ქორწინებას. არც ისაა დაიწყებული, რომ შაჰის ყოფილი მიუღლე სორეია ახლა ზამთრის კურორტზე — სენ-მორიციში იმყოფება და, როგორც ამბობენ, იტალიელ პრინც რაიმონდო ორსინიზე აპირებს დაქორწინებას.

## ანრი ვიდალის ბარდაცვალება

საფრანგეთის კინო და საფრანგეთის თეატრი ამჟამად მიმეღებენ განიცდიან, რამდენიმე კვირის მანძილზე ავადმყოფობამ იმსჯეტა საფრანგეთის კინოსა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები ჟან ვალი, ჟერარ ფილიპი, ჟან გრემიონი, ივ დენიო და ბოლოს ანრი ვიდალი.

გარდაცვალების წინ საღამოს ანრი ვიდალი და მისი ცოლი მიშელ მორგანი სადილობდნენ მეგობრებთან, მან თავი ცუდად იგრძნო, შინ დაბრუნდა და დაწვა. ღამე ცუდად გაატარა და დილის 6 საათზე გარდაიცვალა მიოკარდის ინფარქტით.

იგი 40 წლის იყო. იგი იყო შესანიშნავი გარეგნობის ვაჟაკი — ატლელი. და თავისი იშვიათი აგებულობისათვის მიღებული ჰქონდა „ლაჟვარდოვანი ნაპირის“ (საფრანგეთის სანაპირო) „ულამაზესი ვაჟაკის“ პრიზი.

1958 წელს ის ტრიუმფით გამოდის ფილმებში: „არამზადები მიდიან ჯოჯობეთში“, „სწრაფი მოქმედება“, „პარიზელი ქალი“, „პორტ დე ლილას კვარტალი“ (ბანდიტ ბარბიეს როლში; ჩვენში ეს სურათი მიდიდოდა „პარიზის გარეუბანის“ სახელწოდებით), „იყავი ლამაზი და დახუმიდი“, „რად მოდიხარ ასე გვიან?“, სადაც ის თამაშობს მიშელ მორგანთან ერთად. ახლახან დაამთავრა გადაღება ფილმში „ხოლო არ იცეკვებ ჩემთან“ — ბრიჯიტ ბარდოსთან ერთად.

ა. ვიდალს დიდი სურვილი ჰქონდა, ეკრანზე განეხორციელებია გაულთა ბელად ვერგეტორიქის როლი, რომელიც, მასავით, კლერმონ-ფერანში დაიბადა.

## „მისი გული ძვან იმისთვის, რომ ჩვენ ვიხეხვით“

ასე დასათაურებულ წერილში ფრანგული ჟურნალი „ლაჟანგარი“ მოგვითხრობს საინტერესო ექსპერიმენტის გამო, რომელიც ჩაატარეს ინტენერმა ჟორჟ შოტენმა და საფრანგეთის პოპულარულმა კომპოზიტორმა, ივ მონტანის რეპერტუარის მრავალი სიმღერების მუსიკის ავტორმა ფილიპ ჟერარმა.

„ლაჟანგარდთან“ ინტერვიუს დროს ფილიპ ჟერარმა თქვა: „მუსიკა საში ელემენტისაგან: — მელოდიისა, პარამონისა და რიტმისაგან შედგება. მე გგონია, რომ ორი ბირველი ელემენტი უძველესი დროიდან არსებობდა უმარტოეს ფორმებში. ქარძის მუსიკა, ზღვის გულგუნი და ქარძის ღმელის — პირველი მელოდიაა. როდესაც ქარი კლდეებში თარეობს, ლაქამებში ან ტოტემში ხმაურობს — იქმნება აკორდები და, მაშასადამე, პარამონია.“

მაგრამ, საიდან წარმოიშვა რიტმი, ე. ი. დარტყმის რეგულარული განმეორება? მე დარწმუნებული ვარ, რომ რიტმი გაჩნდა იმ დღეს, როდესაც პირველი ჭული ახვარდა. და იმავე წუთს გახდა შესაძლებელი მუსიკის დაბადებაც.

პირველი ცეკვების რიტმის შესაქმნელად, ადამიანი ზღუს ირტყამდა მუხლებზე და, მიყვებოდა იმავე „ტემპს“ — როგორც მისი გული ძვანდა, შემდეგ გაჩნდა პირველი ინსტრუმენტები ტამ-ტამი, ჩისკან გამოყვითილი დოლები. ამგვარად, მე ვფიქრობ, რომ მუსიკას საფუძვლად გულის ცემა დაეღო და მე მომიხდა, როგორც მუსიკოსს გადმომეცა ადამიანის გულის ძვანა.“

ფილიპ ჟერარი გვიამბობს, რომ რამდენიმე წლის წინათ მას მოუხდა ადამიანის გულის ძვანის ჩანაწერის მოსმენა, რომელიც სასწავლო მიზნით იყო შესრულებული სტუდენტებისა და ექიმებისთვის. მაგრამ ამ ჩანაწერში გულის ძვანასთან ერთად ისმოდა სხვა ხმაურიც: სუნთქვა, ნეკნების მოძრაობა, სისხლის ღუნა. იმისთვის რომ „წმინდად“ გაეგონათ გულის ძვანა, საჭირო გახდა გულდასმით ემულაჟირება რვა თვის განმავლობაში. ჟერარმა და შოტენმა პირველი ცდები საკუთარ გულზე ჩაატარეს, მაგრამ ორივენი მეტად ნერვიულნი აღმოჩნდნენ, თანაც მათი გულემა სუსტად და არათანაბრად ძვრდნენ, შოტენი ამ გარემოებებში იმდენად შეაწყნა, რომ გადაწყვიტა კარდიოლოგისთვის მიემართა. მაშაყავებზე რამდენიმე ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ გადაწყვიტეს ქალის გულის ცემა ჩაეწერათ. აღმოჩნდა, რომ ქალთა გული უფრო ძლიერად და თანაბრად ძვრს.

მაგრამ აქ წამოიჭრა ახალი საძინელე. ისეთი სიხშირის გულის ცემა უნდა შეერჩიათ, რომელიც შეეფერებოდა ყველაზე პოპულარული ცეკვების —

რიტმს. ზოგიერთი ცეკვისათვის საკმაოდ ნელად მძვარი გულის გამოცდა იყო საჭირო. ამ გადასარჩევ კონკურსში გაიმარჯვა პარიზის ერთ-ერთი დიდი მღაზიის „ბონ-მარშეს“ გამყიდველმა ქალმა. მეორეგვარი ცეკვისათვის პირიქით, უფრო ჩქარი რიტმი საჭირო. საჭირო იყო გული, რომელიც 115-ჯერ სცემდა წუთში. ქალიშვილი ატარეს კიბეზე და მერე ჩაიწერეს მისი გულის ცემა ფირის სამ მეტრზე (ე. ი. დროის მიხედვით 40-45 სეკუნდის განმავლობაში). შემდეგ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით ეს ჩანაწერი 40 მეტრთან ფირზე გადაიღეს (ამას 3 წუთი და 45 სეკუნდი მოუხდა). შემდეგ კომპოზიტორმა დაწერა გულის ძვანის თანხლები მუსიკა, მხიარული და ახალგაზრდული, რადგან „გული სიცოცხლა“. „გულის ძვანისა და მუსიკის სრული სინქრონულიზის მიღწევა მეტად ძნელი იყო, — ამბობს ფილიპ ჟერარი. — მართლაც, ორი გულის ცემის შორის 1/10 სეკუნდის განსხვავება საკმარისია რომ ხუთთა-ექვსი დარტყმის შემდეგ ცეკვა „დაირღვეს“. მე და ჟერარმა ორშაბათ დიდი დანაშაულები საღამომდე ვიმუშავეთ, რომ მიგვეღწია უნაკლო კოორდინირებისათვის. და აი, შედეგები...“

ფილიპ ჟერარი რთავს ფირფიტას და გაისმის ყრუ, რიტმული და აბადლებელი ხმები. რამდენიმე სეკუნდის განმავლობაში მხოლოდ გულის ცემა ისმის, შემდეგ მას შესანიშნავი მუსიკა უერთდება.

— იმედი მაქვს, რომ ახალგაზრდობა ყარგად შეხვდება ჩემს მუსიკას, — ამბობს კომპოზიტორი. — მე მიხდა, რომ ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა იცეკვონ თანამედროვე ცხოვრების რიტმით. მოუთმენლად ვეღო მათ გამოქაბილს.





ბევრ ჩვენგანს შეუნიშნავს, რომ ზაფხულის წყნარ ღამეს ბალახებისა და ბუჩქების მახლობლად, ჰაერში დაფრინავს პატარა მწერი, რომელიც პერიოდულად ინთება და ქრება. ეს ციციანთელაა. ჩვენ მას შორიდანვე ვამჩნევთ და გვიკვირს კიდევ, თუ როგორ ნათდება ეს პატარა, მოძრავი არსება.




ციციანთელა მცირე ზომის, მუქი შეფერილობის ხოჭოა. მამალი და დედალი ციციანთელები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ზოგჯერ მათ სხვადასხვა სახეობადაც კი თვლიან. მამალი სიგრძით 10-12 მილიმეტრია, ფრთიანია და კარგადაც დაფრინავს, ხოლო დედლები უფრო მოზრდილებია — სიგრძით 16-18 მმ. უფრო, ჰიისებრი. დღემდე ცნობილია ციციანთელების 1.100 სახეობამდე; საბჭოთა კავშირში მათგან 20 სახეობამდე გვხვდება.

ციციანთელები ღამის მწერებია და მათ გააჩნიათ ღამე ნათების უნარი. საიდანაც წარმოადგება მათი სახელწოდებაც.

დღემდე მეცნიერთა შორის დავას იწვევს ამ პატარა ხოჭოების ნათების

ბუნება. ციციანთელას ნათებას ზოგჯერ ფოსფორულ ნათებას ადარებენ და ლაპარაკობენ ციციანთელას ფოსფორესცენციის შესახებ. სუსტი ნათება ახასიათებს ამ ხოჭოს კვერცხს და ჭუპრს, უფრო ძლიერი ნათების უნარი აქვს მამალს, და განსაკუთრებით, დედალ ციციანთელას. დედალ ციციანთელას მანათობელი ორგანოები მუცლის უკანა მხარეს აქვს. ამ ორგანოს მიკროსკოპულმა ანალიზმა მეცნიერები დაარწმუნა იმაში, რომ სწორედ ამ ნაწილშია განლაგებული მანათობელი უჯრედების შრეები და საპაერო მილაკები. ისინი წარმოადგენენ სახეშეცვლილ ცხიმოვან სხეულს. უკანასკნელ დროს მეცნიერები თვლიან, რომ ნათებას იწვევს განსაკუთრებული მანათობელი ბაქტერიები, რომლებიც ციციანთელას სხეულის უჯრედებში ცხოვრობენ და ეანგზადს ღებულობენ საპაერო მილაკებისაგან (ტრაქეები). მანათობელი ორგანოს ბაქტერიებს უნარი აქვთ ეანგზადის მეოხებით წარმოქმნან ერთგვარი ნივთიერება — ლუციფერინი.

რ. ავალიანი



უსიტყვო ხუმრობა ვ. აბოიანისა

## საინჟინერო სპეციალური

**კორსია პადადგეილა**  
ხმელთაშუა ზღვაზე ინჟინერული სპეციალური კურსის განმავლობაში 10-12 კლასში ტრით დასავლეთით გადაიწია.  
სპეციალისტების აზრით ეს გამოწვეულია ტექტონური ძალების ზემოქმედებით.

**მარილის მარაგი**  
ზღვებში არსებული მარილი რომ ამოღებულ იქნას, იგი 130 მეტრი სისქის ფენით დაფარავდა მთელ დედამიწას.

**საბზარაჟო სვლანის პარინანტაჟი**  
მათემატიკოსებმა გამოანგარიშეს, რომ ჯარაჯში არსებობს პირველი ათი სვლის 169.518.829.100.544\* ვარიანტი. ამდენი სვლა რომ გაკეთდეს, მთელმა კაცობრიობამ შეუსვენებლივ უნდა გადასწიოს ფიგურები 217 მილიარდი წლის განმავლობაში.


**ადამიანის კაპილარები**  
მოზრდილი ადამიანის სხეულში 100-160 მილიარდი უმცირესი სისხლგამტარი ძარღვი — კაპილარია. მათი საერთო სიგრძე 60-80 ათასი კილომეტრია. თვითუფრო ჩვენთაგანის კაპილარები რომ სიგრძეზე გავუძლიოთ, მთელს დედამიწას ორჯერ შემოვხვევდა ეკვატორთან.

**ადამიანის სხეულის სითბო**  
ადამიანის სხეულში არსებული ყოველი გრამი ცხიმში შეიცავს 9,3 კილოკალორიას. ეს ენერჯია საკმარისია, რომ ერთი ლიტრი წყალი გვაათბოთ 9°C.

მოზრდილი ადამიანი ფიზიკური უმოძრავობის დროს დღე-ღამეში გამოყოფს 2400 კილოკალორიას, რაც საჭიროა 24 ლიტრი წყალის ასადულებლად. რადგან დედამიწაზე ცხოვრობს 2,5 მილიარდი კაცი, მათ მიერ გამოყოფილი მთელი ენერჯია მიადევს 6,5 მილიარდ კილოკალორიას. ეს სითბო ასადულებლად ეყოფოდა ერთ ღიდ მდინარეს.

**მზის ენერჯია დედამიწაზე**  
ყოველ წუთში დედამიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ეცემა მზის იმდენი სითბო, რაც საკმარისია ერთი ჰექტარის ასადულებლად. დედამიწის ზედაპირის ერთ ჰექტარზე წამში, მზის იმდენი ენერჯია მოდის, რომ მას შეეძლო აემოძრავებია 10 ათასი კილოვატიანი სიმძლავრის მოტორი.

რომ გავანათოთ 80 კვ. მეტრიანი ფართობის ბინა, ისევე როგორც მზიან დღეს განათებულია ქუჩა, დაგვიჭრებოდა 60 სანთლიანი 50 ათასი ელნათურა.



— ერნსტ, შენ პანსთან სათამაშოდ არ გაგიშვებ, იგი ცუდი ბავშვია.  
— კარგი, დედიკო, მაშინ ის მოვიდეს ჩემთან, მე ხომ კარგი ვარ, — სთხოვა ბავშვმა.

პაწაწინა ინგა მაგიდასთან მიმჯდარიყო და წერდა. დედამ ჰკითხა: რას აკეთებო?  
— მართას წერილს ვწერ.  
— მერე და წერა რომ არ იცი?  
— რა უშავს, იმანაც ხომ არ იცის კითხვა. — მიუგო ბავშვმა.

— მომეცი რა. შენი კალმისტარი!  
— სთხოვა ანამ უფროს ძმას.  
— რატომ, შენი კალმისტრით არ ვინდა წერო?  
— ძალიან ბევრ შეცდომებს უშვებს. — მიუგო დამ.

დედამ ვახშამზე სარდინებიც მოიტანა და თან ბავშვებს უამბო: — ამ პაწაწინა სარდინებს ხშირად დიდი თევზები სდევნიან და ყლაპავენო. ფრედომ სარდინებს შეგნდა და გაკვირვებით წამოიძახა: ნეტავ თევზები როგორ ხსნიან ამ კონსერვის ყუთებსო?

— უკვე მოვედი, გეთყვია, გთხოვთ გადამიხადოთ 12 მარკა, — უთხრა ტაქსის მძღოლმა მგზავრს.  
— თუ შეიძლება, ცოტა უკან დამაბრუნე, 10 მარკის მეტი არა მაქვს.  
— სთხოვა მგზავრმა.

სურათების გამოდენაზე მამა თავის პატარა ბიჭუნას მხატვარ ეღუარდ მიუღერის „პრომეთეოსის“ შინაარსს უხსნიდა. მან უთხრა, რომ არწივი ყოველდღე პრომეთეოსის ღვიძლს კორტნიდა.  
— საბრალო არწივი, — თქვა ბიჭმა, — ყოველდღე ღვიძლს რა აჭმევდა.

— თქვენ მხოლოდ ერთი ძმა გყავთ, ბატონო მიუღერ?  
— დიას, ჯალბატონო შულცე.  
— წარმოგადგენიათ? თქვენმა დამ კი მითხრა, ორი ძმა მყავსო.

ერთი საშუალო ნიჭის მქონე მსახიობი ბერნარდ შოუსთან მივიდა და სთხოვა სარეკომენდაციო ბარათი თეატრის დირექტორის სახელზე.  
შოუმ დაუწერა: რეკომენდაციას ვუწევ მსახიობ X-ს. იგი თამაშობს რომეოს, ჰამლეტს და ბილიარდს. უკანასკნელს — ყველაზე უკეთესად.

გარეკანის პირველ გვერდზე: მთავრობის სახალხო ფერადი ფოტო ი. ხალიპისა  
მეოთხე გვერდზე: საქართველოს სამხედრო გზაზე ფოტოგეტოუდები ვ. სმირნოვისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: ი. გვიგენიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ.მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა | ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

ხაბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | ქრუნალი გააფორმა ზ. ლეჟავამ. | ტექნიკური დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხართ. | ტელ. — რედაქტორის და პ.მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციკლოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/I-60 წ. გამომც. № 4. ქალ. ზომა 70x108 1/2, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პერიოდით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23.150. შეკ. № 13, უფ. 00005





ფოტო  
გუარამ თიქაძისა

ეროვნული  
ბალეტის სკოლა



ეროვნული  
ბალეტის სკოლა



6 86/78

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

